საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 28 ნოემბერი. 2017 წ. №241 (8378), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ლარის გაუფასურების 5-წლიანი ისტორია და ხელისუფლების არგუმენტები



2

მესტიის მერს სცემეს!

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერში გამართული საპროტესტო აქცია ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ლახამულას თემის მოსახლეობა გამგებლისგან კონკრეტულ თარიღს ითხოვდა, თუ როდის მოხდება სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება. ინფორმაციას imedinews.ge ავრცელებს.

ადგილობრივები ჰესის მშენებელი კომპანიისგან გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებასა და სოფელში ელექტროგადამცემი ბოძების შეცვლას ითხოვენ.

აქციის მონაწილეებმა მესტიის მერს კაპიტონ ჟორჟოლიანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. აქციის მონაწილეებს გზის მთავარი მაგისტრალი გუშინ გვიან საღამომდე გადაკეტილი ჰქონდათ და მოძრაობა პარალიზებული იყო. ადგილზე პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი მოვიდა.

პაატა ქურდაძე:

ვისაც სუსტი გული აქვს, არ წაიკითხოს!

5

გლობალური კატასტროფის პირისპირ

15 ათასი მეცნიერის გაფრთხილება კაცობრიობას

4

ისტორიის ნამცვრევები

ალამუთი – მკვლელთა ბუდე და გმირთა ხაფანგი

7

3

ოგსტრუქციიდან აპლოდის-მენტებამდე...

ძველისთვის უკვე აგე პასუხი, ახალისთვის? ვნახოთ, რა იქნება!..

ქუთაისის „ტორპედო“ – ოთხგზის!

თანაც, დუბლის პერ-სპექტი-ვით...

10

გუშინ საქართველომ 11 დაღუპული იგლოვა

სასტუმრო დაჯარიმებული არ ყოფილა!

სასტუმრო „ლეოგრანდის“ მფლობელი ეროლ ავგორენი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ სასტუმროში უსაფრთხოების ნორმები დაცული იყო და ობიექტი ამ კუთხით დაჯარიმებული არ ყოფილა:

„მწუხარებას გამოვთქვამ და ვუსამძიმრებ გარდაცვლილთა ოჯახებს. დღეს გლოვის დღეა და მოვინახულებთ მათ ოჯახებს. მადლობას ვუხდი ქართულ პოლიციას და მაშველებს. „ლეოგრანდის“ პერსონალი არ გათავისუფლდება სამსახურიდან, დეტალურად ჩვენი ადვოკატები გააკეთებენ დამატებით განმარტებებს, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ უსაფრთხოების ნორმები დაცული იყო და სასტუმრო ამ კუთხით დაჯარიმებული არ ყოფილა“, – განაცხადა სასტუმრო „ლეოგრანდის“ მფლობელმა ეროლ ავგორენმა.

* * *

ხანძრის დროს ისინი ქუჩაში კიბით გაქცევის ნაცვლად გარდერობში ნივთების ასაღებად გაემართნენ.

„სამწუხაროდ, ხანძრის დროს ისინი ქუჩაში კიბით გაქცევის ნაცვლად გარდერობში ნივთების ასაღებად გაემართნენ“ – ეს განცხადება, სასტუმრო „ლეოგრანდის“ მფლობელმა ბიზნესმენმა ეროლ ავგერენმა თურქული გამოცემა „ანადოლის“-თან საუბრისას გააკეთა. გამოცემასთან საუბრისას თურქი ბიზნესმენი ამბობს, რომ იმ დღეს 22-სართულიანი სასტუმროს პირველი 13 სართული დაკავებული იყო. ყველა დაღუპული სპა-სალონში, მასაჟის ოთახში, აუზში, თურქულ აბანოსა და საუნაში იმყოფებოდა. **„სამწუხაროდ, ხანძრის დროს ისინი დაიბნენ, ქუჩაში კიბით გაქცევის ნაცვლად გარდერობში ნივთების ასაღებად გაემართნენ. კვამლი სწრაფად გავრცელდა“** – აცხადებს სასტუმროს მფლობელი.

თურქი ბიზნესმენის თქმით, მასმედიის საშუალებები ტრაგიკული ინციდენტის სხვადასხვა ვერსიებს აქვეყნებენ, მათ შორის უსაფუძვლო მტკიცებულებებს აფეთქების შესახებ, რასაც „ლეოგრანდში“ ხანძარი მოჰყვა.

სასტუმროს მფლობელის აზრით, ხანძარი შესაძლოა სიგარეტის ნამწვს გამოეწვია, ან რომელიმე აალებად ნივთიერებას, რომლის გამოც წყლის გამათბობელი სადენები დაიწვა. ბიზნესმენი აღნიშნავს, რომ ხანძრამდე 3 დღით ადრე, სასტუმროს ყველა შენობა ტექნიკურმა სპეციალისტებმა შეამოწმეს.

„ხანძარი ვერ გაჩნდებოდა ბუნებრივი მიზეზების გამო. ვენდობი საქართველოს მართლმსაჯულებას. დარწმუნებული ვარ, რომ იგი მომხდარის ჭეშმარიტ მიზეზებს დაადგენს. ამბობენ, რომ ახალგაზრდები ლიფტში დაიღუპნენ, თუმცა ეს ასე არ არის. დაღუპულები არ უპოვიათ ლიფტში, არამედ მის კარებთან სპა-სალონში. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა მყისიერად ამუშავდა. პროკურატურა, პოლიცია და მეხანძრეები მალე გამოაქვეყნებენ წინასწარ განცხადებას“ – აცხადებს სასტუმროს მფლობელი.

პირისპირ უკრაინელ კოლეგასთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ პირისპირ შეხვედრაზე უმასპინძლა უკრაინელ კოლეგა ვოლოდიმირ გროისმანს, რომელიც საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, საუბრის მთავარი თემები იყო სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, ეკონომიკური კავშირების გააქტიურება და ორი ქვეყნის საერთო ევროპული მისწრაფებები. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვოლოდიმირ გროისმანს ოფიციალური ვიზიტისა და აბრეშუმის გზის ფორუმში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, მოგესალმებით საქართველოში. მინდა, მივესალმო თქვენს პირველ ოფიციალურ ვიზიტს და მადლობა გითხრათ იმისთვის, რომ მონაწილეობთ აბრეშუმის გზის ფორუმში. მინდა, ასევე ხაზი გავუსვა საქართველოსა და უკრაინას შორის ბოლო პერიოდში მზარდ დინამიკას, ასევე მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო უკრაინის პრეზიდენტის წარმატებული ვიზიტი, რომელიც ახლო წარსულში შედგა და ასევე ხაზი გავუსვა ჩვენი ქვეყნების ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მნიშვნელობას.

კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო უპირობო მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ჩვენი მხრიდან გვსურს, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი თანმიმდევრული პოზიციის გამო საქართველოს მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ძვირფასო მეგობარო ვოლოდიმირ, მოგესალმებით საქართველოში“, — მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უკრაინელ კოლეგას.

ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის მაღალ დონეს გაუსვა ხაზი უკრაინის პრემიერ-მინისტრმა.

„მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები საქართველოში. მინდა, კმაყოფილებით აღვნიშნო ბატონი პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში და ჩვენი თანამშრომლობის მაღალი დონე. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ვიზიტი იქნება მორიგი ნაბიჯი ჩვენი ურთიერთობების გაღრმავებისკენ. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის და ასევე აღვნიშნო ჩვენი მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი“, — განაცხადა ვოლოდიმირ გროისმანმა.

უკრაინა არის და იქნება საიმედო სტრატეგიული პარტნიორი საქართველოსთვის!

უკრაინა არის და იქნება საიმედო სტრატეგიული პარტნიორი საქართველოსთვის, — განაცხადა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილთან ერთობლივ პრეკონფერენციაზე.

„პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ საქართველოში მოწვევისთვის. ეს არის ჩემი პირველი ვიზიტი მეგობრულ ქვეყანაში, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ხელს შეუწყობს სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების გაღრმავებას. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო და ქართველ ხალხს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის უპირობო მხარდაჭერისთვის. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ ძალისხმევის კოორდინაციას საერთაშორისო არენაზე. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ უკრაინა არის და იქნება საიმედო სტრატეგიული პარტნიორი საქართველოსთვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ყოველთვის ყველაფერს გავაკეთებთ, რაც უკრაინაზეა დამოკიდებული, რათა გავაძლიეროთ ეს მხარდაჭერა. გავმართეთ ძალიან ეფექტური და ხარისხიანი მოლაპარაკებები ბატონ პრემიერ-მინისტრთან და მთავრობის წევრებთან. ჩვენ აღვნიშნეთ რამდენიმე მთავარი მიმართულება. კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება ჩვენთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. განსაკუთრებით მინდა, გავუსვა ხაზი ჩვენს ხალხებს შორის არსებულ თბილ და მეგობრულ ურთიერთობებს, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, ავაშენოთ სხვადასხვა სფეროში აბსოლუტურად ხარისხიანი პოლიტიკა.

გვაქვს საკმაოდ კარგი ტენდენცია ორმხრივი ვაჭრობის ზრდასთან დაკავშირებით, რაც ეხება საქონლით და მომსახურებით ვაჭრობას. მიმაჩნია, რომ შეიძლება გვქონდეს უფრო ამბიციური მიზანი და 500-მილიონიანი სავაჭრო ბრუნვა გავზარდოთ 1 მილიარდამდე. ეს იქნება ჩვენი თანამშრომლობის ამოცანა. გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია, გავაღრმავოთ თანამშრომლობა სხვადასხვა სექტორში — აგრარულ სფეროში, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და მოხარული ვიქნებით ქართულ ბიზნესთან თანამშრომლობით. ასევე ვისაუბრეთ ლოგისტიკის სფეროში თანამშრომლობაზე.

პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ამ შესაძლებლობისთვის, რომ ვეწვიე თბილისს. მსურს, კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ მთელი ჩვენი სამთავრობო გუნდი მზად არის, მივიღოთ კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნების ურთიერთობების განვითარებას“, — განაცხადა გროისმანმა.

მეგობრობა თუ გვიშველის...

საქართველო მხარს უჭერს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, გმობს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის და სევასტოპოლის ოკუპაციას და ანექსიას.

აღნიშნული განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უკრაინის პრემიერთან ვოლოდიმირ გროისმანთან შეხვედრისას გააკეთა და მადლობა გადაუხადა უკრაინას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისათვის. უკრაინის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ უკრაინა აფასებს საქართველოს მიერ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას და აღნიშნა, რომ საქართველო და უკრაინა მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან. **„ჩვენ ვაფასებთ თქვენს სწრაფვებს და დარწმუნებულები ვართ, რომ ეს ვიზიტები უფრო მეტ აქტივიზაციას მისცემს ჩვენს ურთიერთობებს“,** — აღნიშნა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა. გიორგი მარგველაშვილმა ასევე კმაყოფილება გამოთქვა საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობების განსაკუთრებული ინტენსიფიკაციის გამო, რომელიც მაღალი დონის ვიზიტების განხორციელებაში გამოიხატება და ამ თვალსაზრისით, საქართველოს პრეზიდენტმა უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს ვიზიტს, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში შედგა, წარმატებული სახელმწიფო ვიზიტი უწოდა.

◎ მთავარი თემა

ლარის გაუფასურების 5-წლიანი ისტორია და ხელისუფლების არგუმენტები

2013 წლიდან დღემდე ეროვნული ვალუტა 63%-ით გაუფასურდა. გაუფასურების პირველი ტალღა 2013 წლის ბოლოდან დაიწყო, როდესაც ერთი დოლარის ღირებულება 1,66 ლარიდან 1,73 ლარამდე გაიზარდა. 2014 წლის იანვრიდან დეკემბრის ბოლომდე კი ლარი დოლარის მიმართ 1,7366 ნიშნულიდან 1,8636 ნიშნულამდე გაუფასურდა. უკვე 2015 წლის იანვრის ბოლოდან კი ერთი დოლარის ღირებულებამ 2,0144 ლარს გადააჭარბა, სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ეროვნული ვალუტის მკვეთრად გაუფასურება. 2015 წლის ბოლოსთვის კი ლარი/დოლარის ნიშნულმა 2,4 ნიშნულს მიაღწია.

ეროვნული ვალუტისთვის რთული გამოდგა 2016 წელი. წლის განმავლობაში ლარი ხან უფასურდებოდა, ხან კი მცირედით მყარდებოდა. 2016 წლის დეკემბერში კი ეროვნული ვალუტის კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ერთი დოლარის ღირებულება 22 დეკემბერს 2,7846 ლარი გახდა. უკვე 2017 წლის იანვრიდან ლარმა მცირედით დაიწყო გამყარება, თუმცა ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეროვნული ვალუტის კურსი 24 პუნქტით დაეცა. დღეს ერთი დოლარი 2,7062 ლარი ღირს. ლარის გაუფასურების ყოველ ჯერზე ხელისუფლების წევრები დამაიმედებელ განცხადებას აკეთებდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ ეს მოკლევადიანი პროცესი იყო და ეროვნული ვალუტა მალე გამყარდებოდა. თუმცა, ბოლო 5 წლის განმავლობაში ლარი გაუფასურების შემდეგ მნიშვნელოვნად არასდროს გამყარებულა.

ეროვნული ვალუტის ბოლოდროინდელ გაუფასურებაზე კი დეპუტატების კითხვებზე პასუხის გაცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მოუწევს. კობა გვენეტაძე დღეს პარლამენტში მივა და სწორედ იქ განმარტავს იმას, თუ რამ გამოიწვია ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეროვნული ვალუტის თითქმის 10%-იანი გაუფასურება.

„კომერსანტი“ გთავაზობთ, ხელისუფლების წევრების მიერ გაკეთებულ განცხადებებს ლარის კურსთან დაკავშირებით:

ნოდარ ხადური (თებერვალი, 2014 წელი, 1 დოლარი=1.75 ლარი): „ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ ეს დროებითი მოვლენა იყო. ყველა ეკონომიკური და მაკროეკონომიკური ფაქტორი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში ლარის კურსის გაუფასურება ხანგრძლივი პროცესი არ იქნებოდა.“

გიორგი კვირიკაშვილი (დეკემბერი, 2014 წელი, 1 დოლარი=1.84 ლარი): „მოვუწოდებ ყველას, რომ არ იყოს პანიკა, რადგან ასეთ დროს პანიკა ცუდად მოქმედებს. ასე რომ, ამ მიმართულებით საპანიკო არაფერია.“

ნოდარ ხადური (დეკემბერი, 2014 წელი, 1 დოლარი=1.89 ლარი): „ლარის კურსი დასტაბილურდა და დიდი ალბათობით კურსი დაიწევს.“

ნოდარ ხადური (იანვარი, 2015 წელი, 1 დოლარი=1.99 ლარი): „დოლარის მიმართ პრაქტიკულად ყველა ვალუტა გაუფასურებულია, თუმცა ლარი ამ მიმართულებით პოზიციებს ინარჩუნებს.“

ბიძინა ივანიშვილი (იანვარი, 2015 წელი, 1 დოლარი=2.01 ლარი): „მოგონილი თემაა ესეც და საზოგადოებას არავითარ ტვირთად არ აწევს. ლარი აჩვენებს იმას, რომ ის ცოცხალი და ჯანმრთელი ორგანიზმია.“

ირაკლი ღარიბაშვილი (თებერვალი, 2015 წელი, 1 დოლარი=2.23 ლარი): „მთავრობა მობილიზებულია და ეროვნულ ბანკთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. ვფიქრობ, ეს ისტერიკა ხელოვნურად იყო შექმნილი.“

გიორგი კვირიკაშვილი (აპრილი, 2015 წელი, 1 დოლარი=2.32 ლარი): „ყველა ფუნდამენტური საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ეროვნული ვალუტის გამყარება დაიწყოს.“

გიორგი კვირიკაშვილი (მაისი, 2015 წელი, 1 დოლარი=2.36 ლარი): „აუცილებლად მოხდება დასტაბილურება. მეც ისევე, როგორც ყველა ადამიანი, ამ ფაქტით შეწუხებული ვარ. ჩვენ დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ეს აუცილებლად პოზიტიური ტენდენცია იქნება.“

დიმიტრი ქუმსიშვილი (სექტემბერი, 2016 წელი, 1 დოლარი=2.33 ლარი): „მე ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ ჩვენი ვალუტის კურსი სტაბილური იქნება. რა თქმა უნდა, არჩევნების შემდგომაც ჩვენ მცურავი კურსი გვაქვს, თუმცა ის სტაბილური იქნება.“

ნოდარ ხადური (ოქტომბერი, 2016 წელი, 1 დოლარი=2.33 ლარი): „მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება და წელსაც მეტ ეკონომიკურ ზრდას ველოდებით, ვიდრე ეს თავიდან იყო დაგეგმილი.“

გიორგი კვირიკაშვილი (ნოემბერი, 2016 წელი, 1 დოლარი=2.48 ლარი): „კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ ეს არის პროცესი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე დადებითი ეკონომიკური პროცესითაა განპირობებული“.

ლიკა გურაბანიძე

ობსტრუქციიდან აპლოდისმენტებამდე...

რუსეთის ტელევიზია RTR-ის პოპულარული თოქშოუ „60 წუთის“ პირდაპირ ეთერში ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ ყირიმი რუსეთის ფედერაციის მიწაა, ხოლო რუსეთის ცენტრალური ტელევიზია ORT-ის პირდაპირ ეთერში, ვლადიმერ პოზნერის თოქშოუში ყირიმის შესახებ თქმულიც დაადასტურა და უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოს ომთან მიმართებით ბევრი რამ დღემდე უცნობი პიკანტური დეტალები საცნაური გახადა და ყველაზე მთავარი – ომი დაიწყო სააკაშვილმაო!

ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ წინამდებარე წერილი ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ამასწინანდელი მოსკოვში ვიზიტის შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე იწერება...

პარლამენტის ყოფილი სპიკერისა და ორგზის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლზე საუბარი მხოლოდ შავ-თეთრ ტონებში არამართებული და შეუძლებელიც მგონია, რადგანაც ამ ქალბატონის პოლიტიკური ე.წ. ბეგრაუნდი ნამდვილად არ არის ერთმნიშვნელოვანი – მასში წარმატებებიც არის და შეცდომებიც...

დიდი სტალინის ცნობილ სენტენციას – „ძველისთვის გმადლობთ, ახალზე პასუხი აგე“ თუ ნინო ბურჯანაძის პერსონას პერიფრაზებულად, გნებავთ, უკუღმა მივუსადაგებთ, გამოვა – „ძველისთვის უკვე აგე პასუხი და ახალი ვნახოთ, რა იქნება“...

ეს ქალბატონი ვინმეს შეიძლება, რომ მოსწონდეს, ვინმეს კი – პირიქით, მაგრამ ის, რომ ნინო ბურჯანაძე ტრადიციულ, ქართულ პატრიარქალურ ოჯახშია აღზრდილი, მართლმადიდებელი ქრისტიანია, ვფიქრობ, მისი მტერ-მოყვარისთვის სადავო არაა!

რაც შეეხება ზემორე – „ძველისთვის უკვე აგე პასუხი“ – ნათქვამს, საზოგადოებას შევახსენებ, თუ როგორ, რა ვითარებაში გამოვიდა ოპოზიციურ პოლიტიკურ ველზე ნინო ბურჯანაძე...

ეს იყო 2009 წლის 9 აპრილს აგორებული ე.წ. საკნების საპროტესტო აქციის დასაწყისში, როდესაც ტრიბუნაზე ასულ ნინო ბურჯანაძეს სტვენითა და უხამსი შეძახილებით ობსტრუქცია მოუწყვეს საპროტესტო აქციის მონაწილეებმა!

მაგრამ ქალბატონ ნინოს რკინის ნერვები აღმოაჩნდა, ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვის ხარჯზე დაითმინა შეურაცხყოფა და უპრეცედენტოდ დიდ ხანს მიმდინარე საპროტესტო აქციაზე იმის მომსწრეც გახდა, რომ ცოტა ხნის წინ მის მიმართ მტრულად განწყობილი ხალხი, „ნინო, ნინოს“ სკანდირებითა და აპლოდისმენტებით ხვდებოდა ტრიბუნაზე ასულ ნინო ბურჯანაძეს!

ამის მნახველი თავად გახლავართ და იცით, რატომ მოხდა აქციის მონაწილეთა მეტამორფოზა? იმიტომ რომ აქციის ორგანიზატორთაგან, ქალბატონი ნინო აღმოჩნდა ლამის ერთადერთი ლიდერი, რომელიც წინააღმდეგი იყო სააკაშვილთან ყოველგვარი მოლაპარაკებების გამართვისა, განსხვავებით ალასანია-ახალი მემარჯვენე სალომე ზურაბიშვილის და ა.შ. – განსაკუთრებით ძმები „გრეჩიხებისგან“, რომელთა აშკარა თუ ფარული მორიგებაგარიგების გამო სააკაშვილის ხელისუფლებასთან, საპროტესტო მუხტი ნელ-ნელა დაეცა და საბოლოოდ გაქრა კიდეც!..

შემდეგ იყო 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი ღამე...

რომ არა ეს ტრაგედია, არ იქნებოდა ბიძინა ივანიშვილი და 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნები, გნებავთ, რევოლუცია, როდესაც გვეგონა, რომ განვთავისუფლდით სააკაშვილის სისხლიანი დიქტატურისგან და, ბოლოს და ბოლოს, აღდგებოდა სამართლიანობა, მაგრამ...

აი ამ „მაგრამის“ წინააღმდეგ სერიოზულ პოლიტიკურ მოთამაშეთაგან პირველმა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ამოიღო ხმა, რადგანაც მიხვდა რომ „ქართული ოცნება“ სულაც არ ყოფილა ქართველი ერის ოცნება! განსხვავებით „ქართული ოცნების“ ხელისუფლების აშკარა თუ ფარულ სატელიტთაგან და განსაკუთრებით ივანიშვილის „სტიპენდიანტი“ ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისგან, რომელსაც ხუთი წელიწადია, არაფერი ესმის, ვერაფერს ხედავს და ვაზელინწასმული დღემდე გუნდრუკს უკმევს ბიძინა ივანიშვილსა და მის დანატოვარ ხელისუფლებას!..

მიუხედავად ყოველი ზემორე თქმულისა, 2013 წლის ადგილობრივ არჩევნებზე ქალბატონ ნინო ბურჯანაძის პარტიამ ოპოზიციურ ფლანგზე ყველაზე მეტი 12 % აჩვენა?!

თუმცა, მას მერე გამართულ 2016 წლის საპარლამენტო და აგერ წლეულს ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებზე საეჭვოდ ვერ გადალახა 5 და 3 % ბარიერები!

საეჭვოდ, რადგანაც ე.წ. პრორუსული განწყობები დღითი დღე მატულობს საქართველოში და თუ უფრო ხისტად არ ვიტყვით, როგორც მინიმუმ ალოგიკურია, რომ პრორუსული ორიენტაციის პარტიათა ფლაგმანი, ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ ზედიზედ მეორე არჩევნებია, რაც პოლიტიკურ თამაშგარე მდგომარეობაში რჩება!

ვახსენეთ ე.წ. პრორუსულობა და ბუნებრივად მივადექით მთავარ სათქმელს...

ქალბატონ ნინო ბურჯანაძის რუსეთის დედაქალაქში ამასწინანდელი ვიზიტის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება, ალბათ ძნელი საქმეა, რადგანაც ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ქართველ პოლიტიკოსთაგან პირველმა განაცხადა რამდენიმე ფუნდამენტური რამ, რაც მომავალში უთუოდ წაადგემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებას!

რუსეთის ტელევიზია RTR-ის პოპულარული თოქშოუ „60 წუთის“ პირდაპირ ეთერში ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ **ყირიმი რუსეთის ფედერაციის მიწაა,** ხოლო რუსეთის ცენტრალური ტელევიზია ORT-ის პირდაპირ ეთერში, ვლადიმერ პოზნერის თოქშოუში **ყირიმის შესახებ თქმულიც დაადასტურა** და უფრო მეტიც, **2008 წლის აგვისტოს ომთან მიმართებით ბევრი რამ დღემდე უცნობი პიკანტური დეტალები საცნაური გახადა და ყველაზე მთავარი – ომი დაიწყო სააკაშვილმაო!**

და ეს ყველაფერი, ვლადიმერ პოზნერის გაფრთხილების მიუხედავად, რომ მოსკოვში თქმული შეიძლება, რომ პოლიტიკურად საზიანო აღმოჩნდეს ნინო ბურჯანაძისთვის, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს, რადგანაც საქართველოში ხომ ერთგვარი ტესტია – თუ პროდასავლელი ხარ, ე.ი. ავტომატურად „პრადვინუტი“ და ქვეყნის პატრიოტი ხარ, ხოლო თუ პრორუსი ხარ, ასევე ავტომატურად ბნელი და ქვეყნის მოღალატე ხარ და როგორც იტყვიან, მესამე არ არსებობს!

რაც შეეხება ვლადიმერ პოზნერს,იგი ძველი ტელეჟურნალისტი, როგორც რუსები იტყვიან, „სტარი ხრიჩ“-ია, ამ სიტყვის კარგი გაგებით!

ანუ ის, არც „რუსთავი-2“-ის და არც სხვა ქართული ტატევიზიების მსგავსი პედერასტ-ლიბერასტი, უწიგნური ტელეწამყვანი არ არის და ვლადიმერ პოზნერთან ერთი საათი პირდაპირ ეთერში „დუელი“ ხუმრობა საქმე არავის ეგონოს!

ქალბატონმა ნინო ბუჯანაძემ კი ვლადიმერ პოზნერთან „ტელედუელში“, რომ იტყვიან, უმაღლესი პოლიტიკური პილოტაჟი აჩვენა, რითიც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ერთ-ერთი და, ბევრის აზრით ერთადერთი პროფესიონალი პოლიტიკოსია საქართველოში!

მიუხედავად ამისა, გავბედავ და რამდენიმე საკითხში არ დავეთანხმები აშკარად მაღალი დონის პოლიტიკოს ქალბატონს ნინო ბურჯანაძეს!

როდესაც ვლადიმერ პოზნერმა ნინო ბურჯანაძის პრორუსულობაზე ჩამოაგდო სიტყვა, ქალბატონმა ნინომ, როგორც მე მომეჩვენა, გარკვეულწილად თავის მართლების რეჟიმში უპასუხა, რომ ის პრორუსი კი არა, პროქართველი პოლიტიკოსია, რაც, ვფიქრობ, არასწორი დეფინიციაა და ამის შესახებ არაერთხელ დამიწერია...

ქართველი პოლიტიკოსი და არა მხოლოდ პოლიტიკოსი, არც პრორუსი შეიძლება რომ იყოს, არც პროამერიკელი და მით უმეტეს, არც პროქართველი, რადგან ქართველის პროქართველობა აბსურდია და სწორედ იმიტომ, რომ ქართველი ვარ, ვერავითარი „პრო“ ვერ ვიქნები!

მე, როგორც ქართველი პუბლიცისტი, ჩემი ქვეყნის მომავალს რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობებში კი არა (რადგანაც ზედმეტი სიფრთხილისაგან გაცვეთილია ეს ფრაზა), არამედ რუსეთთან მჭიდრო, ერთმორწმუნეობის პრიმატზე დაფუძნებულ ურთიერთობებში და, გნებავთ, უფრო მეტიც, აშშ-ის ნაცვლად რუსეთთან სტრატეგიულ მოკავშირეობაში ვხედავ არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას, არამედ ქართველი ერის ფიზიკურ-ზნეობრივად გადარჩენის გარანტიასაც!

ჩემი მოკრძალებული აზრით, სწორედ ამ მარტივ ენაზე უნდა ესაუბრო ამომრჩეველს, რადგანაც **რუსული ორიენტაციის ელექტორატი ძირითადად სოფლელი გლეხობაა, რომელსაც ახსოვს სსრკ-ის დროინდელი უდარდელი ცხოვრება და მას ნაკლებად აინტერესებს ე.წ. უბლოკო სტატუსი, რომელი სლოგანითაც გავიდა არჩევნებზე ქალბატონ ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური პარტია!**

იმედია, რომ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე კადნიერებად არ ჩამომართმევს ზემორე თქმულს და მხოლოდ კეთილ რჩევად მიიღებს მას...

დასასრულ მინდა, რომ ჩემი ერთ-ერთი ბოლო პუბლიკაციიდან პასაჟი მოვიყვანო...

როგორც ცნობილია, ხელისუფლებაში მყოფი პირების თუ იქ მისვლის მსურველთათვის, სავალდებულოა ნარკოტესტირების გავლა, რასაც, როგორც იტყვიან, ორივე ხელით მხარს ვუჭერ, მაგრამ ამავე დროს შემოვდივარ წინადადებით, რომ მათ კიდევ ერთი ტესტირება გაიარონ უმარტივეს კითხვაზე პასუხის სახით – **რა აზრისა ხართ ბატონებო და ქალბატონებო, საქართველოში გეიპარადების ჩატარებასა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე?**

ამ კითხვას ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მხოლოდ ფორმალურად ვუსვამ, რადგანაც, ზემორე ხსენებული ოჯახიშვილობიდან გამომდინარე, ქალბატონი ნინოს პასუხი როგორიც იქნება, აპრიორი ცხადია!

ეს,ისე, წერილის ფინალში ლირიკული გადახვევა პარლამენტის დეპუტატთა საყურადღებოდ, რადგანაც მსგავს ტესტირებას ქართველი ერის სასურველ პასუხს, როგორც მინიმუმ, „ქართული ოცნების“ მმართველი უმრავლესობის უმრავლესობა ვერ გასცემს!..

დავით მხეიძე

დეიმონ უილსონი: ეს შეიარაღება რუსეთს არ დაემუქრება, მაგრამ ეცოდინება, თუ საქართველოს თავს დაესხმის, პასუხს მიიღებს!

„რადიო ამერიკის ხმის“ რუსული სამსახურის ჟურნალისტის თხოვნით ვაშინგტონის პოლიტოლოგიური ინსტიტუტის „ატლანტიკური საბჭოს“ ვიცეპრეზიდენტმა დეიმონ უილსონმა კომენტარი გაუკეთა აშშ-ის ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღის მიყიდვის შესახებ.

– „ეს ფაქტი (საქართველოსათვის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექს Javeli-ის მიყიდვა) მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვაღიარებთ ყოველი სახელმწიფოს ფუნდამენტურ უფლებას თავდაცვის თაობაზე. ჩემთვის ძალიან უხერხული იყო მორალური თვალსაზრისით, რომ ამდენი დრო დაჭირდა გადაწყვეტილების მიღებას – სულ ერთია, საქართველო იქნებოდა თუ უკრაინა. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევია აშშ-ის სურვილით – დაეხმაროს განვითარებად, გარდამავალი დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს საკუთარი სახლის დაცვის მიზნით. ჩვენ ვნახეთ რუსეთის შეჭრის შედეგები საქართველოში, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია. ასევე ძალიან სამწუხაროა, რაც დღეს უკრაინაში ხდება. ვფიქრობ. გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენ (კავკასიის რეგიონში) კონფრონტაციის გამწვავება არ გვსურს. თუ სიტუაციის სტაბილიზება გვინდა, მაშინ მათთვის, ვისაც დემოკრატიული სისტემა აქვს, მაგალითად, საქართველოს, უსაფრთხოებისა და მშვიდობის გარანტიებიც უნდა ჰქონდეს, რომ მან თავისი თავი დაიცვას. მოსკოვისათვის უფრო რთული იქნებ ავანტიურული და სარისკო ნაბიჯის გადადგმა ისეთი სახელმწიფოების მიმართ, როგორიც საქართველოა. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია“.

– რა გავლენას მოახდენს ამ იარაღის საქართველოსათვის მიყიდვა რეგიონის უსაფრთხოებაზე?

– ვფიქრობ, ეს არის იმის სიგნალი, რომ აშშ მხარს უჭერს სახელმწიფოებს, რომლებიც საკუთარი თავის დაცვას ცდილობენ მტრებისგან. ცხადია, ეს არ არის ისეთი შეიარაღება, რომელიც რუსეთს დაემუქრება, მაგრამ მას ეცოდინება – თუ საქართველოს თავს დაესხმება, პასუხს მიიღებს. მხარს ვუჭერ, რომ მსგავსი თავდაცვითი შეიარაღება ამერიკამ უკრაინასაც მიაწოდოს. მჯერა, რომ კიევმა ეს დაიმსახურა.

„Радио Голос Америки“

გლობალური კატასტროფის პირისპირ

15 ათასი მეცნიერის გაფრთხილება კაცობრიობას

მეცნიერებმა ის გაფრთხილება განაახლეს, რომელიც ჯერ კიდევ 25 წლის წინათ დაწერეს. მაშინ მხოლოდ 1700 მეცნიერის ხელმოწერა აღირიცხებოდა , დღეს კი დედამიწის ბედით შეშფოთებულ მეცნიერთა რაოდენობა გაზრდილია და ექსპერტები გვარწმუნებენ, რომ ვითარება გაცილებით რთულია, ვიდრე 1992 წელს იყო. 25 წლის წინანდელი პრობლემები დღეს ბევრად გამწვავებულია.

მეცნიერთა თქმით, კაცობრიობა კვლავაც მოიხმარს განუახლებელ ბუნებრივ რესურსებს. ამას ემატება დედამიწის მოსახლეობის 35%-ით ზრდა, რაც საბოლოოდ ბუნებრივ რესურსთა დეფიციტამდე მიგვიყვანს. ამ რესურსების ჩანაცვლების ოპტიმალურ გამოსავალს კი მეცნიერებმა დღემდე ვერ მიაგნეს.

„ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა გავიაზროთ, რომ დედამიწა ჩვენი ერთადერთი სახლია. კატასტროფული ეკოლოგიური ვითარების მოწმენი და შემოქმედნი ვართ. მაგალითად, კლიმატის ცვლილებები, მწვანე საფარის შემცირება, ცოცხალ ორგანიზმთა მასობრივი გადაშენება, მტკნარ წყალთან წვდომის შემცირება, ოკეანეების „მკვდარი ზონები“. ჩვენ არ ვზოგავთ ბუნებრივ რესურსებს. ამიტომაცაა, რომ **უკანასკნელ 25 წლიწადში სუფთა წყლის რაოდენობამ ერთ სულ მოსახლეზე 26%-ით იკლო, 121 მილიონზე მეტი ტყის საფარი კი დავკარგეთ, უმეტესად მიწათმოქმედებისთვის საჭირო ტერიტორიების გამოთავისუფლების მიზნით“,** — ნათქვამია 15 ათასი მეცნიერის გაფრთხილებაში.

მათივე რეკომენდაციით, თუ მსოფლიო მყისიერ პასუხს არ გასცემს ბუნებრივ რესურსთა მსგავსი ტემპით მოხმარებას, მალე კატასტროფული ბიომრავალფეროვნების კრიზისის წინაშე აღმოვჩნდებით. 25 წლის წინათ გამოვლენილი პრობლემებიდან მხოლოდ ოზონის შრეში არსებული ხვრელი დავიწროვდა, რაც ერთობლივი და მიზანდასახული მუშაობის კარგი მაგალითია. ყველა სხვა პრობლემა კი გამწვავდა და სულ ცოტა მანძილი დარჩა იმ წერტილამდე, საიდანაც გამოსავალი არ იქნება.

შეუძლია თუ არა კაცობრიობას 15 ათასი მეცნიერის რჩევა გაითვალისწინოს და ბუნებრივ რესურსთა მოხმარებაზე უარი განაცხადოს?

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარე **ნინო ჩხობაძე** For.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ ჩვენ თუ ისევ მხოლოდ რესურსმოხმარებით პოლიტიკას ავაგებთ, მაშინ წინ ვერ წავალთ. ჩვენ ვერაფრით გავიგეთ, რომ აღდგენადი რესურსი აღარ არის მტკნარი წყალი, რადგან არასწორად გვასწავლიდნენ მე-20 საუკუნეში, თითქოს აღდგენადი რესურსი იყო მტკნარი წყალი. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ არ ყოფილა აღდგენადი. რატომღაც ყველას ეგონა, რომ ტყეც ბოლომდე აღდგენადი იყო, მაგრამ აქაც აღმოჩნდა, რომ, თუ ტყეს ბოლომდე გაჩეხავ, პირვანდელის აღდგენა აღარ ხდება. საბოლოო ჯამში, როგორც კი ჩვენ ტყეს ან წყალს შევეხებით, ეს რესურსები აბსოლუტურად ხელმიუწვდომელი გახდება, ანუ საერთოდ ვერ ვიცხოვრებთ იმ მიწაზე, სადაც გავაქრობთ მდინარეს და გავჩეხავთ ტყეს.

ნინო ჩხობაძის განმარტებით, კაცობრიობამ ამ საფრთხის შესახებ კარგად იცის, ამის გამოცდილება ჰქონია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 15 ათასი მეცნიერის მეორე გაფრთხილება მაინც დასჭირდა მსოფლიოს. ეს გაფრთხილება მიმართულია იქითკენ, რომ მსოფლიოში ყველა რესურსი ილევა, ხოლო ამ მილევად რესურსებზე ქვეყნის ეკონომიკის აგება არ შეიძლება. ამიტომ მეცნიერები ყველა სახელმწიფოს მოუწოდებენ, თავი შეიკავონ ბარბაროსული და მომხმარებლური პოლიტიკიდან. თუ მანამდე, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ითვლებოდა, რომ გარემოს დაცვა მხოლოდ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების პრეროგატივა იყო, რეალურად, ამის საპირისპირო აჩვენა მთელმა მსოფლიომ. საბოლოო ჯამში, ბევრად წინ წავიდნენ ის ქვეყნები, რომლებიც ნაკლებად განვითარებული იყვნენ, მაგრამ საკუთარ პრიორიტეტად მაინც აირჩიეს მწვანე ეკონომიკა, მწვანე განვითარება, ნაკლები რესურსმოხმარება, ნაკლები ენერგოტევადობა. ასე მოხდა ირლანდიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, სადაც დღეს სერიოზული პროგრესია.

„ჩვენთან კი აქცენტები რატომღაც გადატანილია იმაზე, თითქოს გარემოს დაცვა აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. ეს დიალოგი გვესმოდა წინა ხელისუფლების დროს, უფრო ადრინდელი ხელისუფლების მმართველობისას და ახლაც. სინამდვილეში, გარემოს დაცვა არ გვაფერხებს. ეს საბჭოთა გადმონაშთია, გინდა თუ არა, გვაფერხებსო. პირიქით, მთელმა მსოფლიომ დაამტკიცა, რომ, თუ შენ რაციონალურად მოიხმარ ბუნებას და უფრო სწორად დაგეგმავ, გარემოს დაცვით სწორ მართვას შემოიტან, ყველაფერი გამოსწორდება. გარემოს დაცვით მართვამდე ჯერ ჩვენ ვერ მივედით, რადგან 2006 წელს რომ დავაზიანეთ კანონმდებლობა, ვერ აღვადგინეთ ის პუნქტები, რაც იქიდან ამოღებულია. ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, იმედი გვქონდა, რომ ყველაფერი აღდგებოდა, რადგან ევროკავშირში ზუსტად ის მოთხოვნებია, რაც 2006-ში გავაქრეთ კანონმდებლობიდან. თუმცა ჩვენ გვყავს ახალი ლიბერტარიანელები, რომლებიც რესურსმომხმარებლობაზე არიან გადასულნი“, — აცხადებს ნინო ჩხობაძე.

ფინანსისტი და ეკონომისტი, გარემოს აქტიური გულშემატკივარი მურმან ქევანიშვილი აღნიშნავს, რომ ბუნებრივ რესურსთა ისეთი უწყალო გამოყენება, როგორც საქართველოშია, არსად არ ხდება, მაგრამ ამ დანაშაულის აღიარება არავის სურს.

„ახლა მე რაჭაში ვიმყოფები. სადაც გაიხედავ, ვისაც როგორ უნდა, ისე დაანთებს ცეცხლს. სხვათა შორის, ტაბახმელაშიც დაანთო ერთმა მეზობელმა ცეცხლი, ქალაქიდან ამოვიდნენ და დააჯარიმეს 50 ლარით. ქალაქს რომ ჰყავს პატრონი, ალბათ, სოფელსაც უნდა ჰყავდეს. ძალიან მაწუხებს სოჭის თესლის საზღვარგარეთ უმოწყალოდ გატანის პრობლემაც. რაჭაში არავის აქვს იმის თავი და ხელშეწყობა, რომ აქ გააკეთონ სანერგე მეურნეობა და შემდეგ გაყიდონ სოჭის ნერგი. უცხოეთში კი უზომო რაოდენობით მიაქვთ ეს თესლი, იქ დიდი პლანტაციები აქვთ, ამის შემდეგ ისევ უკან საქართველოში ჩამოაქვთ ხეები და ყიდიან. სწორედ ეს არის კურიოზი, რომ აქედან წაღებული სოჭის თესლით უცხოეთში მოყვანილი და გაზრდილი ჩვენი კავკასიური სოჭი ისევ სპორტის სასახლესთან იყიდება. ამის მოპოვების ლიმიტი კომუნისტების დროს 15 ტონა იყო. ეს რაოდენობა ჩვენი ქვეყნიდან იტვირთებოდა ადგილობრივთა მიერ და განსაკუთრებული ავტორიტეტი ჰქონდა უცხოეთში. საბჭოთა პერიოდში რამდენიმე ებრაელმა იცოდა სოჭის თესლის სიკეთე, მათ საზღვარგარეთ კავშირები ჰქონდათ და გაჰქონდათ სოჭის თესლი. 15 ტონა აკმაყოფილებდა მაშინ ევროპასა და ამერიკას. მეტი არც გადიოდა. მართალია, ებრაელებს ეს ბიზნესი ჰქონდათ, მაგრამ ჩუმად იყვნენ, არ ხმაურობდნენ, არც ჩვენ ვიცოდით, რისთვის სჭირდებოდათ, ისე ვუკრეფდით ამ სოჭის ნაყოფს, კარგ ხელფასსაც გვაძლევდნენ და კმაყოფილებიც ვიყავით. თავის დროზე აბელ ენუქიძემ კრემლში წაიღო სოჭის თესლი და კრემლის ეზოში რამდენჯერმე მოვფერებივარ იმ ხეებს, მაგრამ ახლა 15 ტონის ნაცვლად, 70 ტონა და კიდევ მეტი იყიდება. ამიტომაც დაეცა სოჭის თესლის ფასი მსოფლიოში, ამიტომაცაა ჩვენი სოფლის მაღაზია ნისიებით სავსე, რადგან სააკაშვილის პოლიტიკის შემდეგ აქაურ გლეხობას გაუჭირდა“, — აღნიშნა მურმან ქევანიშვილმა.

მისი თქმით, სააკაშვილმა და მისმა „ჭკვიანმა“ მთავრობამ აუქციონზე გაიტანეს საქართველოს ტყეები, რის გამოც ქართველი გლეხიც და ტყეც თანაბრად დაზარალდა. მართალია, ხელისუფალნი მაშინ ამაყობდნენ, 52 მილიონი შევიდა ბიუჯეტში ამის წყალობითო, მაგრამ ამ სიმდიდრეს თუ გაყიდი, ეს ქვეყანა აღარ იქნება. უცხოელებზე ტყის მიყიდვის შემდეგ სოჭის ხეების გამრავლებაც შემცირდა, რადგან არავინ ფიქრობს, დარჩება თუ არა სოჭის ნაყოფი საქართველოში.

„ბიზნესს გადააყოლეს ქვეყანა. ის ბიზნესმენიც ხომ უნდა იყოს ვალდებული ჩვენი ქვეყნის წინაშე?! იცით, ამ ხეების გამრავლება როგორ ხდება? სოჭის თესლი ბუნებრივად რომ ჩამოცვივა, როგორც პარაშუტი უკან აქვს გამოწეული და 20-30 კილომეტრზე მიფრინავს და ამით მრავლდება. წინათ ეს ტყე ულევი იყო. ახლა კი იმ რაოდენობით ვერ გამრავლდება, რადგან ყველაფერი გატანილია. სოჭის თესლი ჩვენთვის იყო ოქრო, რომელიც ხალხს მოჰპარეს. აქაურები მოატყუეს, 52 მილიონად გავყიდეთო, მაგრამ არანაირი 52 მილიონი არ შესვლიათ ბიუჯეტში. უბრალოდ, მიჰყიდეს უცხოელებს და ახლა ის უცხოელი, რომელიც ადრე ჩვენგან ყიდულობდა, თავად გახდა ბიზნესმენი. უცხოელებზე მიწები გაყიდულია რაჭაშიც, ბორჯომშიც.

როგორც ვიცი, უცხოელები ახლა სოჭის თესლის სამაჩაბლოდან გატანაზეც ფიქრობენ. ერთი უცხოელი მეკითხებოდა, როგორი ტყეა „ოსეთშიო“?!“ ასეთი პოლიტიკიდან გამომდინარე, მურმან ქევანიშვილი ფიქრობს, რომ ვერც 15 ათასი მეცნიერის გაფრთხილება უშველის გაჩანაგებულ სოჭის ტყეებს და ვერც საუკუნეების განმავლობაში წარმოქმნილი ჩვენი უნიკალური წყალი დაიბრუნებს პირვანდელ ღირსებას. როგორც კი ბიზნესინტერესი ჩაერევა ბუნებაში უხეშად, ყველაფერი შეიცვლება. კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმში არის შაორის წყალსაცავი, შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე კლიმატიც შეცვლილია. სადაც კი ასეთი ჩარევა მოხდა, ყველაფერი საზიანოდ გარდაიქმნა.

ყოველი ამომავალი კვამლი ჰაერს აფუჭებს. ამიტომ უნდა ვაკონტროლოთ, რომ ბუნებას ზიანი არ მიადგეს. ჩემთვის მოწინავე ქვეყანა არ არსებობს. ყველა იმაზეა გადასული, ფული როგორ წაართვას გაჭირვებულს...

მანანა ნოზაძე

თბილისის მერიას 2018 წლისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებით 60 მილიონი ლარი გამოეყოფა

27 ნოემბერს ფინანსთა სამინისტროში შედგა სამუშაო შეხვედრა საქართველოს ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძესა და დედაქალაქის მერს კახა კალაძეს შორის.

განიხილეს დედაქალაქის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ძირითადი პარამეტრები და დაგეგმილი ღონისძიებები. როგორც აღინიშნა, გრძელდება მუშაობა 2018 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის ფორმირებაზე, რომელშიც აუცილებლად აისახება მომავალი წლისთვის თბილისისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებები და ის პროექტები, რომლებიც აუცილებელია დედაქალაქის განვითარებისთვის.

„დღეს გვქონდა შეხვედრა დედაქალაქის ხელმძღვანელობასთან. როგორც მოგეხსენებათ, ქალაქის მერიას ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი აქვს განსახორციელებელი 2018 წლისთვის. საქართველოს მთავრობამ პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, შეისწავლა აღნიშნული პროექტები და მიღებულია გადაწყვეტილება, ქალაქ თბილისში განსახორციელებელი პროექტების ბიუჯეტი გაიზარდოს დაახლოებით 60 მლნ ლარით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს დამატებითი ტრანსფერი და დღეს შევთანხმდით ტექნიკურ დეტალებზე. თანხები მიიმართება მიზნობრივად, მათი ძირითადი ნაწილი მოხმარდება ქალაქის მეტროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მათ შორის, მოძრავი ინფრასტრუქტურის განახლებას და, ამასთან ერთად, განსაზღვრულია თანხები თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისთვის“, - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

„მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს, ცენტრალურ ხელისუფლებას, ფინანსთა სამინისტროს თანადგომისთვის, რადგან დაახლოებით, 60 მლნ ლარით გაიზრდება ბიუჯეტი 2018 წელს განსახორციელებელი პროექტებისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარებისთვის და მიმართული იქნება კონკრეტულ პროექტებზე. ესაა მეტროს სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორც მეტროსადგურების, ისე მოძრავი შემადგენლობის განახლება, ასევე თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია. 2018 წელი ჩვენი დედაქალაქისთვის იქნება განსხვავებული, რადგან ვიწყებთ იმ პროექტების განხორციელებას, რაც წინასაარჩევოდ იყო წარმოდგენილი ჩვენგან,“ — განაცხადა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲥᲣᲠᲓᲐᲫᲔ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, როდესაც ქართველი ღირსშესანიშნავი ჩინოვნიკები და პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა მსოფლიოში, ვფიქრობ რომ კარგი იქნებოდა ეკლესიური ვყოფილიყავი და მათი სულების გადასარჩენად დღე და ღამე მხურვალე ლოცვით საკუთარი ცოდვილი სულისთვის რაღაც შანსი მაინც მიმეცა...

საქართველო ერთ-ერთი ყველაზე საშიში ქვეყანაა სიცოცხლისათვის, რომელშიც მე ვყოფილვარ.

ის, რაც ბათუმში მოხდა, მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია ხიფათისა და ფათერაკების გრძელ რიგში, რომელში ცხოვრებაც გვიწევს. თითქმის არ არსებობს სფერო, რომელიც პოტენციურად საშიში არ იყოს — სახანძრო უსაფრთხოებიდან დაწყებული კვების პროდუქტებით დამთავრებული... მშენებარე ობიექტები, ავტომობილების სრულიად ქაოტური მოძრაობა.. მე ვიტყოდი — ავტო-ერორიზმი! არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება, ჩახერგილი ტროტუარები.. დაუცველი მშენებარე ობიექტები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართაობა და მათი სრულიად დანაშაულებრივი და დაუსჯელი ანარქია, უკიდურესად დაბინძურებული ჰაერი, ადამიანების განადგურებული ნერვული სისტემა, მათი სისასტიკე, აგრესიულობა, ბოროტი და უსაფუძვლო ვერბალური აგრესია... რომელი ერთი ჩამოვთვალო! თუმცა — მარტო ღამის ხმაურის მაგალითი საკმარისი იქნებოდა ჩემთვის იმის დასადასტურებლად, რომ ყველაზე მთავარი მაინც კანონის და მისი აღმსრულებელი შესაბამისი სტრუქტურების გულგრილობა და არაკვალიფიციურობაა, მაგრამ არ მინდა, ტენდენციურობაში ჩამომართვათ. ამის შესახებ სრულიად უშედეგოდ უკვე იმდენი ვიყეფე, რომ მენანება, ჩემი ნერვების საცოდავი ნარჩენები ამ სრულიად უიმედო პრობლემას დავახარჯო. მხოლოდ ერთს ვიტყვი — გროტესკული კანონი ხმაურის შესახებ და მისი კიდევ უარესი აღსრულების ფარსი, ჩემთვის იმ უამრავი პრობლემის ილუსტრაციაა, რომელებიც საქართველოში იმდენად ბანალური გახდა, რომ ყურადღებასაც კი აღარ ვაქცევთ და ვცხოვრობთ, უპერსპექტივო ზომბებივით.

ორი-სამი მაგალითის მოყვანაც საკმარისია:

სულ რამდენიმე დღის წინ მთელი ერი აღაშფოთა H&M-ის მიერ ტროტუარის გადაკეტვამ. არავის გახსენებია, რომ ამ უზარმაზარი მშენებარე კომერციული ცენტრის წინ თვეების მანძილზე მთელი ტროტუარი გადაკეტილია — ფეხით მოსიარულე ადამიანები რუსთაველის გამზირზე აწყვეტილი ავტომობილების გასწვრივ შეშინებულები დალასლასებდნენ, სანამ ახლახანს, ხსენებული სკანდალის წყალობით არ მიხვდნენ და დროებითი ბარიერები არ დაუყენეს. ისიც ნაწილობრივ — ეს ერთგვარი ფოტო-დოკუმენტი, რომელიც ამ სახიფათო სტატუსს ახლავს ორი საათის წინ გადავიღე!

ეს ამბავი გამონაკლის შემთხვევაშიც კი ძალიან საგანგაშოა! ქვეყნის ცენტრალურ ქუჩაზე, ქალაქის საკრებულოსა და პარლამენტს შორის სრულიად ღიად შეგიძლიათ თვალი ადევნოთ და დაადგინოთ საქართველოში ადამიანის სიცოცხლის საბაზრო ფასი, რომელიც სადღაც — ჩალისა და ჭიქა მზესუმზირის ღირებულების შორის მერყეობს.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲐᲠ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲝᲡ!

ასეთ, სამშენებლო სარგებლობისათვის წლობით გადაკეტილ ტროტუარებს სამწუხაროდ, უთვალავს ნახავთ თბილისში. განსაკუთრებით ძველ უბნებში. არც მშენებარე ობიექტების მეპატრონეებს ეჩქარებათ სადმე, არც ქალაქის ხელმძღვანელობას. არავინ უწესებს სანქციებს — ბიზნესი ხომ წმინდაა და ის ქვეყნის განვითარებას ემსახურება! განვითარება და პროგრესი კი როგორც ცნობილია, მსხვერპლს მოითხოვს, მხოლოდ... სხვის მსხვერპლს, არა საკუთარს... ზუსტად ასე ფიქრობს ბიზნესსა და პოლიტიკას შორის საკუთარი მისიის ეგზისტენციალური ძიებით ქანცგაწყვეტილ ქართველ კანონმდებელთა დიდი ნაწილი. აი, ისინი, რომლებიც იგონებენ კანონებს, რომლის მიხედვით — ისევ გუშინდელს თუ მივუბრუნდებით — სასტუმროს პატრონს ბიუჯეტის სასარგებლოდ დააჯარიმებენ, დაღუპულ ადამიანებს წუთიერი დუმილით მიაგებენ პატივს და ამით ვალს მოიხდიან ქვეყნის წინაშე.

ზუსტად იგივეა ხმაურის შემთხვევაში — რეციდივისტი მეპატრონე ბიუჯეტისთვის მეწველი ბერწი ძროხა ხდება, რომელიც ხანდახან ერთ ჭიქა რძეს იწველება... ასეთ ბერწ რესტორატორს სამასი ათას ევროდ ნაყიდ ლიცენზიას თავზე გადაახევდნენ დასავლეთში. ჩვენთან კი ლიცენზიების შესახებ ჯერ არც კი სმენიათ პარლამენტარებს — მათ სჯერათ, რომ ტაქსისტები, რესტორატორები, ქალაქის დამწიოკებელი კლუბები, მათ მიერ დადგენილი რამდენიმე ასეული ლარის შიშით და კანონის რიდით მოინანიებენ ყველა სისაძაგლეს, რაც უკვე ჩადენილი აქვთ და ჭეშმარიტების გზას დაადგებიან! მგონი მართლა გულწრფელად სჯერათ ამის! ამიტომ ჩვენ, უძილობისგან, ფსიქოპატიამდე მისულებს გვსაყვედურობენ, რა გინდათ, კანონი ხომ მივიღეთო — ერთმა ასეთმა ვალმოხდილმა და გამოჩენილმა პარლამენტარმა უმადურობაც კი დამწამა ხმაურის შესახებ კანონის კრიტიკის გამო.

ჯარიმების სისტემა ქვეყნის ბიუჯეტის შევსებაზეა ორიენტირებული და არა ადამიანზე, მის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, კომფორტზე და ღირსებაზე. ასე რომ არ იყოს, არც მკვლელი ავტომობილების ტექდათვალიერებას გადადებდნენ 2019 წლისთვის, არც ასე ადვილი იქნებოდა მოძრავი ბინძური კუბოების ტაქსებად ტრანსფორმირება ელიავას ბაზრობაზე ხუთ ლარად ნაყიდი ყვითელი მოჭადრაკებული გირლანდის საშუალებით. არც ნებისმიერ ბინძურ სარდაფში .კვების ობიექტის გახსნა იქნებოდა შესაძლებელი ყოველგვარი ლიცენზიის გარეშე. არც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვა სპეციალური ურთულესი მოძრაობის წესების ტესტის ჩაბარების გარეშე... მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ბიზნესის ხელშეწყობის, ადამიანიების დასაქმების და ქვეყნის უანგარო აღმშენებლობის მოტივით ხდება!

როდესაც ყვითელი ავტობუსები და „მარშუტკები“ შუა რუსთაველზე ერთმანეთს ეგონკავებიან პატრულის თვალწინ — და თქვენ შიგ იმყოფებით, არ უნდა შეშინდეთ — თქვენ სამშობლოს ემსახურებით — მის ეკონომიკურ განვითარებას!... ხომ ხვდებით!.. შეიძლება ვიღაცამ გუშინწინ ათას ლარად ოპელი იყიდოს, გუშინ — მართვის მოწმობა, დღეს მის მანქანაში აღმოჩნდეთ ბავშვებთან ერთად, ან თუნდაც მარტო... და თქვენი და თქვენი შვილების სიცოცხლე ამ ახალბედა ულიცენზიო მძღოლის ხელში აღმოჩნდეს, რომელიც ლუკმაპურის საშოვნელად არის გამოსული.. რა ქნას საწყალმა... ჭეშმარიტად გეუბნებით! ქართველი მძღოლი ღმერთივით განაგებს თქვენს სიცოცხლეს! მძღოლს ებარებოდეთ!

კიდევ ბევრის თქმა შემიძლია თბილისის და, ზოგადად, საქართველოს ფათერაკებით აღსავსე საშიშ ცხოვრებაზე, მაგალითად მეორე წელია, ქვემო კალას უბანში ვცხოვრობ და ერთი პოლიციელი არ მინახავს თვალით, რადგან მათი ნაცრისფერი ლიმუზინები ძველი თბილისის ვიწრო ქუჩებში არ ეტევა, ფეხოსანი, ამ მოტოციკლიანი... (ველოსიპედზე, როლერებზე და საერთოდ ყველა შესაძლებელ მოძრავ საშუალებაზე, რომელსაც დასავლეთში იყენებენ) პოლიციელი კი, საერთოდ არსად შემხვედრია. მგონი სულ ორი მოტოციკლი ჰყავს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ისიც უმაღლესი რანგის სტუმრების საპატიო ესკორტისთვის... შემეძლო ჩემს განცდებზეც მესაუბრა — გასულ გვალვიან და ხანძრიან ზაფხულს როგორ ვლოცულობდი ყოველდღე, რომ ჩემს სახლსა და ბოტანიკურს შორის გადამხმარ ფერდობს ხანძარი არ გასჩენოდა, რადგან ავტომობილებით ჩახერგილ მთის ფერდობზე ვერანაირი სახანძრო ეკიპაჟი ვერ ამოაღწევს — მთელი უბანი გადაიბუგებოდა... კიდევ იმაზე, ხანდახან ღამე, ყოველ პულსის აჩქარებისას პანიკური შიში რომ მიპყრობს, რადგან ვიცი, ვერასდროს ვერანაირი სასწრაფო არა თუ ვერ მოაღწევს ჩემამდე, ქუჩასაც ვერ იპოვის, თბილისში ხომ ქუჩის დასახელებების აბრების გაკვრა ძალიან, ძალიან არ უყვართ... მაგრამ ზედმეტი სენტიმენტებით აღარ შეგაწყენთ თავს — ისედაც სტატიასავით სტატუსი გამომივიდა.

მოკლედ, როგორც განათლებული ხალხი იტყოდა, სრულ ექშენში ვცხოვრობ, ისევე როგორც ყოველი თქვენგანი..

მხოლოდ იმის შეგნება მამშვიდებს — ჩამოთვლილთაგან, ერთ-ერთი ხიფათის მსხვერპლიც რომ გავხდე, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამოიძიებენ შესაბამისი უწყებები და ასი, შეიძლება ორასი ლარითაც კი დააჯარიმონ დამნაშავე... პრინციპში ცოტა არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ სახანძრო უსაფრთხოების დარღვევისათვის, რომელსაც 11 ადამიანის სიცოცხლე შეიძლება შეეწიროს, ჩვენს უსაფრთხო და ჰუმანურ ქვეყანაში, როგორც გაზეთი „ბათუმელები“ იუწყება, ჯარიმა მთელი 300 ლარი ყოფილა!“, — წერს პაატა ქურდაძე.

ᲭᲣᲑᲔᲠᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛ „ᲜᲔᲜᲡᲙᲠᲐᲰᲔᲡᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲢᲐ

ᲛᲔᲡᲢᲘᲘᲡ მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერში მოსახლეობამ „ნენსკრაჰესის“ სამუშაოებთან მისასვლელი გზა გადაკეტა. აქციას ჭუბერის საკრებულოს წევრი ზაზა ვიბლიანი შეუერთდა, რომელიც პოლიციამ წინააღმდეგობის გაწევისთვის დააკავა და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა.

ადგილობრივები მშენებლობაზე პასუხისმგებელი კომპანიისგან სადენებისა და ხიდის შეკეთებას მოითხოვენ და ჭუბერი-ხაიშისა და ჭუბერი-მესტიის ცენტრალური მაგისტრალის გახსნას მანამ არ აპირებენ, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, რადგან მათი თქმით კომპანია მოთხოვნების შესრულებას მანამდეც დაჰპირდათ.

„სადენების გაუმართაობას ადამიანის სიცოცხლეც შეეწირა, ცეცხლი წაეკიდა, აქრობდა, დენმა დაარტყა და გარდაიცვალა. ხალხი გაღიზიანებულია, ქუჩაში გამოვიდა, გზა გადავკეტეთ. რაც შეეხება ხიდს, საზღვრისპირა სოფელია, საზღვარსა და სოფლის დამაკავშირებელი ხიდია გაფუჭებული, მეორე ხიდიც წაიღო წყალმა, დაახლოებით 10-15 კილომეტრის შემოვლა უწევს მესაზღვრეს, რომ სოფლამდე მივიდეს. გზა კიდევ იმიტომ გადავკეტეთ, რომ ყველა აქციაზე, მოთხოვნა და დაპირებები რაც იყო, არ შესრულებულა, ყელში აქვს ამოსული ხალხს“, — განუცხადა „ლიბერალს“ ადგილობრივმა მოსახლემ რატი დევდარიანმა.

შოკის-მომგვრელი მინიატიურები სადებიუტო კრებულიდან

იშვიათია, სადებიუტო წიგნი „თბილისის წიგნის ფესტივალზე“ ბესტსელერად ქცეულიყოს. მანამდე, სამი წლით ადრე ლიტერატურულ კონკურსში „შემოდგომის ლეგენდამ“ აღმოაჩინა ახალგაზრდა ავტორი, აღმოაჩინა და ჟიურის შეფასებით ლაურეატიც გახდა. საუბარია ახალგაზრდა, ორიგინალური ჟანრის ნიჭიერ შემოქმედზე ქეთევან მეფარიძეზე და გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ მის სადებიტუო პროზაულ კრებულზე „მეზობლად“.

„მაგთიკლუბმა“ ახალგაზრდა ავტორსა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს „მაგთიკლუბის“ დარბაზში უმასპინძლა და წარადგინა ავტორის ახალი წიგნი. **მაკა ლდოკონენი,** რომელიც კრებულის რედაქტორი გახლავთ, ქეთის შესახებ საუბრობს და ემოციებს ვერ მალავს — **„ქეთი მეფარიძე სამი წლის წინათ ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობდა და სწორედ მაშინ გავიცანი. მისი ნაწარმოები, რომელიც ჟიურის წევრებს წარედგინათ, სხვა ნაწარმოებებისგან უჩვეულო, მოულოდნელი რაკურსებით, ეროტიკული ვნებებითა და სიახლეებით გამოირჩეოდა. მან თავიდანვე მიიპყრო ყურადღება. ასეთი ადამიანები „კოსმოსში საკუთარ იმპულსებს აგზავნიან და ამის წყალობით ბრუნავს დედამიწა“. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. შემდეგ სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემებში იბეჭდებოდა მისი მინიატიურები და ჩანახატები, მეტად საინტერესო და თავისებური. მეამაყება, რომ ამ კარგი კრებულის რედაქტორი ვარ. ქეთის კი შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ“.**

სწორედ იმ კონკურსის ჟიურის წევრი გახლდათ მწერალი **დათო ტურაშვილი,** რომელმაც „მაგთიკლუბის“ მიერ მოწყობილ საღამოზეც არ დატოვა უყურადღებოდ ახალგაზრდა მწერალი, ისაუბრა კონკურსის შესახებ და არ დაუმალავს თუ როგორ აღფრთოვანდა მწერლის დებიუტით.

„ქეთი კონკურსში მონაწილეთაგან თავისი კდემამოსილებით, რიდითა და გაუბედაობით გამოირჩეოდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს უკანასკნელი კდემამოსილი მანდილოსანი დგას ჩვენს გვერდით-მეთქი, მაგრამ როდესაც მისი პაწაწკინტელა მოთხრობები წავიკითხე საკმაოზე მეტად ეროტიკული ნაზავით, შოკი მივიღე. წიგნი რომ გამოვა, ავტორსა და გამომცემელს მასთან უკვე საქმე აღარ აქვთ. წიგნი მკითხველის საკუთრება ხდება. ავტორმა სხვა ნაწარმოებებზე უნდა იფიქროს, ასე რომ, მისგან ახალ მოთხრობებს, წიგნებსა და შოკს ველოდებით“.

მწერალი **ზვიად კვარაცხელია,** რომლის გამომცემლობა „ინტელექტმაც“ დაულოცა გზა ქეთი მეფარიძეს, საღამოს უძღვებოდა. სწორედ მისი ჩვეული ალღოთი შეირჩა ქეთის შემოქმედება და ამჯერადაც არ უღალატა ალღომ გამოცდილ გამომცემელს. იგი

კმაყოფილია, რომ დებიუტმა გამართლა.

ახლა ავტორს მოვუსმინოთ, რომელმაც თავადვე დაუსვა თავის თავს სამი ძირითადი შეკითხვა, რომელიც, მისი აზრით, დააინტერესებდა მკითხველს და მისი შემოქმედების მთავარ ბაზისსაც წარმოუდგენდა. ამ შეკითხვებსაც თავად უპასუხა.

„უკვე დამთავრებულ ჩანახატს რომ გადავხედავ, დიდხანს მრჩება განცდა, რომ თითქოს იგი ვიღაცისგან მოვიპარე, ვიღაცას წავართვი და ჩემი არ არის. არ ვცდილობ მის გაგრძელებას, დაიწერა და მორჩა. არ შემიძლია დაწყებულის, შეწყვეტის შემდეგ გაგრძელება. რა კითხვას დავუსვამდი საკუთარ თავს? პირველია — რატომ მაინცდამაინც ეროტიკა? აქვე გიპასუხებთ, ეროტიკა იმიტომ, რომ წინ წამოვწიო სულიერი სამყარო და ვნება გმირისა, ეს არის ის პლატფორმა, რომელზეც ჩემი ჰორორი დავაშენე. მეორე — რატომ ეს საშიში პროზა? რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ მოულოდნელობის ეფექტი გამოვიწვიო. ეს სპეციალურად არ ხდება, ეს თავისთავად მოდის, რადგან ვწერ მაშინ, როდესაც ძალიან ცუდად ვარ. გამოდის, რომ ცუდად სულ თორმეტჯერ გავმხდარვარ, რადგან თორმეტი მოთხრობა მაქვს. ბავშვობაში პირველი ჩანახატი დავწერე გედზე. მიფრინავდა გედი, ბედნიერი და ლაღი, მაგრამ მონადირე ესვრის მოულოდნელად და გედი კვდება. როდესაც დედამ წაიკითხა ეს ჩანახატი, შეშფოთდა — შენნაირი პატარა ბავშვისთვის არ შეიძლება ამგვარი მძიმე რამის წერაო. მაგრამ ეს ჩემი იყო, საშიში პროზა. მესამეც — რატომ მთავრდება ასე სწრაფად და რატომ არის ასეთი მცირე მოცულობის ჩემი პროზა? არ მიყვარს მოსაწყენი პროზა, გაგრძელებული თხრობა, არ მსურს, მკითხველი გადავღალო. უფრო მეტიც, არ მიყვარს მივუბრუნდე უკვე დაწერილს, არ ვიცი ეს კარგია თუ ცუდი. ამიტომაც მაქვს ძალიან ბევრი მინიატიურა.

ისე მირჩევნია, ვიყო კარგად, ბედნიერად და ვწერო ცოტა, ვიდრე ვიყო ცუდად და ვწერო ბევრი. თუ ძალიან ცუდად ვიქნები შეიძლება, რომანიც დავწერო“.

ამის შემდეგ ქეთი მეფარიძემ „მაგთიკლუბში“ შეკრებილთა კითხვებს უპასუხა და სადებიუტო წიგნიდან, რამდენიმე მინიატიურაც წაიკითხა... მინიატიურები, რომლებიც, მისივე თქმით, დიდი წიგნისთვის იყო განკუთვნილი და დარჩა პატარა ჩანახატებად.

ავთანდილ ბექაური

გერმანელი კოლონისტები და საქართველო

„მაგთიკლუბი“ მეგობრებთან შესახვედრად და დროს სასიამოვნოდ გასატარებლად რომ შესანიშნავი ადგილია, თბილისელთათვის კარგა ხანია, ცნობილია. ეს სიამოვნება კიდევ ერთი შესანიშნავი ინიციატივითაც შესაძლებელია გაიხანგრძლივონ „მაგთიკლუბის“ სტუმრებმა, ეს არის გამომცემლობა „ინტელექტისა“ და „მაგთიკლუბის“ ერთობლივი ღონისძიებები, ანუ ორმხრივი ინიციატივა, მსურველებს წარუდგინონ „ინტელექტის“ მიერ გამოცემული წიგნები, შეხვდნენ ავტორებს და მათთვის საინტერესო თემებზე ისაუბრონ. აქვე ტარდება პერფორმანსის სტილის მუსიკალური საღამოები.

სწორედ ერთ-ერთი ამგვარი შეხვედრა გაიმართა მწერალ **თამთა მელაშვილთან,** „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ მის მეტად საინტერესო დოკუმენტური პროზის შესანიშნავი წიგნის **„გერმანელები საქართველოში“** წარდგინებაზე. წიგნის პრეზენტაციას უძღვებოდა გამომცემლობის წარმომადგენელი **გვანცა ჯობავა,** რომელმაც კლუბში შეკრებილ აუდიტორიას წარუდგინა მწერალი. თამთა მელაშვილი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში გამართული კონკურსის სპეციალური პრემიის მფლობელია. მას თავისი შემოქმედებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს გერმანიასთან და გასაკვირი არც იყო, მონაწილეობა მიეღო გერმანიის საელჩოს მხარდაჭერით ორგანიზებულ რამდენიმე პროექტში. ეს შესანიშნავი წიგნიც კარგი საჩუქარია საქართველო-გერმანიის მეგობრობის წელთან დაკავშირებით.

თამთა მელაშვილი: თემა აქ წარდგენილი წიგნისა და ინტერესიც ორი წლის წინათ გამიჩნდა, როდესაც თითქმის საუკუნისწინანდელი ფოტო ვნახე წარწერით „ბოლნისი, 1936 წელი“ (მაშინ ბოლნისს ლუქსემბურგი ერქვა). შევიტყვე ისიც, რომ ბოლნისი გერმანული დასახლება იყო ოდესღაც და მათთან ერთად უხდებოდათ აქ ცხოვრება ქართველებს, გერმანელებს, სომხებს, რუსებს, აზერბაიჯანელებს. ერთი სირთულე იყო რესპონდენტთა მოძიება და მათი დათანხმება, რათა გაკეთებულიყო ჩანაწერები. მოვახერხე მომეძებნა გერმანელთა შთამომავლები. და სწორედ ასე შეიქმნა ეს წიგნიც.

ქალბატონი **ჯულიეტა დარჯანია** თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთიდან გახლავთ. იგი მართლმადიდებელ და ლუთერანულ ოჯახშია გაზრდილი. სწორედ იგი გახლავთ თამთას წიგნის პერსონაჟი, რომელიც თავის ბავშვობასა და მახსოვრობაში შემორჩენილ ამბებს იგონებს თავის წინაპრებზე. ქალბატონი ჯულიეტას თქმით, ასურეთს მრავალი ტურისტი სტუმრობს, რომლებიც ამ ისტორიით არიან დაინტერესებული. იგი მადლობელია მწერლისა, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან თემას შეეხო და შესანიშნავად გაართვა თავი.

თამთა მელაშვილის მადლობელია აგრეთვე წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი, ქალბატონი **თინათინ ჰაინე,** რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს. **„გერმანელებს ყოველთვის უყვარდათ საქართველო. ახლა ძალიან ცოტანი ვართ დარჩენილი, მაგრამ ბედნიერნი იმით, რომ ამ სამოთხეში ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და ვცხოვრობთ ჩვენც. თუ როგორ მოხვდნენ საქართველოში გერმანელები, როგორ ცხოვრობდნენ, როგორ გახდა მათთვის საქართველო მეორე სამშობლო, ყველაფერი ეს კარგადაა აღწერილი თამთას წიგნში. აქ თითქოს ჩვენი წინაპრები გვესაუბრებიან, ისე ხატოვნადაა აღწერილი ის ძველი ისტორიები, პერსონაჟთა მეტყველების მანერა. ამბები ქრონოლოგიურადაა დალაგებული და გალიტერატურებული, მართლაც შესანიშნავი მხატვრულ-დოკუმენტური პროზაა“.**

ღონისძიებას ესწრებოდა გერმანიის საელჩოს წარმომადგენელი გერმანიის ელჩის მოადგილე და კულტურის ატაშე, ქალბატონი **მონიკა ლენჰარდი.** მას თამთა მელაშვილის წიგნის გამოცემა იმ ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად მიაჩნია, რომელსაც საქართველო გერმანიის მწიგნობრობის წელთან დაკავშირებით საელჩომ დაუჭირა მხარი. იგი იმედოვნებს და სურვილიც აქვს იმისა, რომ წიგნი ითარგმნოს გერმანულ ენაზე, რაც ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ერთობლივი კულტურისა და ისტორიის განმტკიცებას. არადა, საქართველოსა და გერმანიას ამის საუკუნეობრივი გამოცდილება აქვთ ჩვენი ხალხისა და გერმანელ კოლონისტებთან თანაცხოვრებით.

„მაგთიკლუბი“ კვლავ მრავალ საინტერესო შეხვედრებს გვპირდება. სწორედ ესაა ყველაზე საინტერესო პროექტი, როდესაც მკითხველებს მწერლებთან შეხვედრისა და გულახდილი, საინტერესო საუბრის შესაძლებლობა ეძლევათ .

მამუკა ვაშაკიძე

ალამუთი - მკვლელთა ბუდე და გმირთა საფანი


ალამუთის ციხე

თანამედროვეობის დიდი ჭირი — ტერორიზმი სათავეს საუკუნეთა სიღრმიდან იღებს, ასასინების (არაბ. ჰაშიშინ — ჰაშიშის მწეველი) მასონური და მისტიკური ორდენიდან, რომელიც ჰასან იბნ საბაჰმ დააფუძნა XI საუკუნეში.

მან თავი „საიდუმლო იმამად“ — ისმაილიტური „მესიის“ მოციქულად გამოაცხადა, რომელიც მორწმუნეთ გზას გაუხსნის ალაჰისკენ. მორჩილება, სრული მორჩილება, აი, ის ერთადერთი გზა, რაც მოეთხოვებოდათ ჰასანის მოწაფეებსა და მიმდევრებს.

რამდენიმე წელი ქადაგებდა იგი სპარსეთის ქალაქებში და ახალ-ახალ მომხრეებს იკრებდა. როცა მათმა რიცხვმა რამდენიმე ასეულს მიაღწია, ჰასანმა გადაწყვიტა, დაეპყრო მიუდგომელი ციხესიმაგრე ალამუთი სპარსეთის დეილემის ოლქში, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთში. ალამუთი იდგა 200 მეტრი სიმაღლის კლდეზე, რომელსაც დიდი სიკეთე ჰქონდა — წყალი. მისი აღება შეუძლებელი იყო ღია შეტევით, ან ხანგრძლივი ალყით. საბაჰმა, რომელსაც ალამუთის ასაღებად ძალები არ ჰყოფნიდა, უბრალოდ იყიდა ციხესიმაგრე მისი კომენდანტისგან 3000 ოქროს დინარად, მალე ალამუთის მეზობლად მდებარე სოფლების უმრავლესობის პატრონიც გახდა.

ჰასან იბნ საბაჰმ გააკეთა თავისი უმთავრესი დასკვნა: **პასიურ თავდაცვას შეტევა სჯობს და გადაწყვიტა, მოწინააღმდეგეებთან ებრძოლა ინდივიდუალური ტერორის მეთოდით**. საამისოდ მიმდევრებისგან დაიწყო ფიდაების — „მსხვერპლად შეწირულთა“ შემოკრება. ესენი იყვნენ ტერორისტი-თვითმკვლელები, თავისებური „ტერმინატორები“.

დავალების შესასრულებლად ფიდაებს ყველაფრის ნება ეძლეოდათ: შეეძლოთ, შეეცვალათ სარწმუნოება, სამშობლო, ენა.

მალე ასასინები გამოჩნდნენ სირიასა და პალესტინაში, სადაც ჯვაროსნებს შეეჯახნენ, ჯვაროსანთა არაერთი მეთაური ემსხვერპლა ასასინებს, მათ შორის — მესამე ჯვაროსნული ომის ბელადი მარკგრაფი კონრად მონფერატოელი.

ისმაილიტთა მოღვაწეობის სისხლიანი არეალი საქართველოსაც მოიცავდა. ისინი კარგად იყვნენ ცნობილი საქართველოში XII-XIII საუკუნეებში. მათ აქ მულიდებს უწოდებდნენ. სპარსი ისტორიკოსის რაშიდ ად-დინის ცნობით, 1138 წელს ისმაილიტ იბრაჰიმ დამღანის მოუკლავს თბილისის ყადი, რომელმაც თბილისში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ისმაილიტებს, რომლებმაც თავიანთი სისხლიანი ქმედებით ერთობ შეაწუხეს მოსახლეობა.

როცა „მთიელმა ბრძენკაცმა“ სული ეშმაკს მიაბარა, მისმა მემკვიდრეებმა სექტა თანდათან გარდაქმნეს მკვლელთა საიდუმლო კორპორაციად, ასასინები შეკვეთებს იღებდნენ სულთნების, მეფეების, გრაფებისა და ამირების მოსაშორებლად.

ასე გრძელდებოდა თითქმის ორასი წელი, სანამ სპარსეთში შეჭრილმა მონღოლებმა ჰულაგუ ყაენის მეთაურობით ასასინების ციხესიმაგრე ალამუთი და შემდეგ სხვა 40 ციხე არ აიღეს და ყველა ფიდაი არ ამოწყვიტეს. ამით ისმაილიტთა თეოკრატიულ „სახელმწიფოს“ ბოლო მოეღო. სირიასა და ლიბანში 1273 წელს ასასინებს ბოლო მოუღეს მამლუქებმა და „ტერმინატორთა“ სექტამ არსებობა შეწყვიტა.

XIV საუკუნის ქართველი ჟამთააღმწერელი გვიამბობს, რომ ალამუთის ციხის აღებაში და იქ დავანებული ისმაილიტების ამოწყვეტაში მონღოლების მხარდამხარ ქართველებიც იბრძოდნენ. ომში ხმლით ხელში იბრძოდა საქართველოს მეფე დავით VI ულუ ლაშა-გიორგის ძე.

ალამუთის ალყა გაჭიანურდა. მონღოლთა ჯარს ჩაღატა ნოინი ხელმძღვანელობდა. ერთ დილას საშინელი ღრიალი მოისმა: ღამით ალამუთელ მულიდს მიპარვით მოეკლა კარავში მძინარე ჩაღატა. მონღოლები საშინლად აღშფოთდნენ, მაგრამ მრისხანებას გეზს ვერ აძლევდნენ — არ იცოდნენ, ვინ იყო მკვლელი. მაშინ ვიღაცამ წამოაყრანტალა და მთელი ჯარი აჰყვა: **„ვინაითგან ქართველნი დიდსა ჭირსა შინა არიან ჩვენგან, შურით ქართველთა მიერ მოიკლაო“**.

ამას ყველა ირწმუნებოდა, ჩარმაღან ნოინის გარდა, რამეთუ იგი იტყოდა: „დაწყნარდით, კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველთა კაცი მკვლელი და არც სჯული უცთ ესევითარისა საქმისა ქმნად“. მაგრამ ვერა შეასმინა.

მონღოლთა აღშფოთებული ჯარი მიეჭრა ქართველთა ლაშქარს. უთუოდ ყველას დახოცავდნენ, რომ არა ღვთის შემწეობა. ქართველებმა დიდი სიყვარული, ერთგულება და თავდადება გამოამჟღავნეს ერთმანეთის მიმართ. საბრძოლველად გაემზადნენ, მაგრამ ძალიან მცირენი იყვნენ მონღოლებთან შედარებით. მა-

ჰასან იბნ საბაჰი


დავით ულუ

შინ სურამელმა, ქართლის ერისთავმა, მათ უთხრა: **„ახლა არ არის ომის დრო, რადგანაც ცოტანი ვართ, თუ შევებრძოლებით ყველას გაგვწყვეტენ — დიდსა და მცირეს და თუ არ შევებრძოლებით, ვფიქრობთ, მხოლოდ ჩვენ მოგვკლავენ წარჩინებულებს. უმჯობესია, არ ვებრძოლოთ და ღმერთს შემწეობა ვთხოვოთ“**.

ეს იყო ქართველი წარჩინებულების — სარდლების თავგანწირვა, სულის დადება მოყვასის, ჯარისკაცების გადასარჩენად. ჯარმა სამჯერ მოიდრიკა მუხლი, ღვთისმშობელს სთხოვეს შველა.

ამ ლოცვის დასრულებისას, როცა მოახლოებული იყვნენ გააფთრებული მონღოლები ქართველთა მოსასპობად, მაშინ გამოვიდა კაცი ვინმე ლერწმოვანებიდან, ეჭირა ამოწვდილი სისხლით შეღებილი ლახვარი. ზემოთ აღმართა

და ხმამაღლა დაიყვირა: „მან ქუშტემ ჩაღატა“ — მე მოვკალ ჩაღატაო. მონღოლები გაეკიდნენ, მან ლერწმოვანში შეასწრო და დაიმალა. მალე მულიდი ცეცხლმოკიდებული ლერწმოვანიდან გამოიყვანეს.

ჰკითხეს, როგორ მოკალი ჩაღატაო, რაზეც უპასუხა: **„მე ვარ მულიდთა შორის საჩინო, მულიდთა თავადების დავალებით მოვკალ და დავიმალე“**.

ჰკითხეს: **„რა იყო მიზეზი სამალავიდან შენი გამოსვლისა და ხმამაღალი ყვირილისა, რომ შენ მოჰკალ ნოინი?“**

მან უპასუხა: **„ხშირ ლერწმოვანში დავიმალე, მყის მოვიდა ვიღაც სიტურფით აღმატებული დედაკაცი და მითხრა: „ეს რა ჰქმენ, კაცო? მოკალ კაცი და დაიმალე, ახლა მრავალ სულს მოკლავენ შენი მიზეზით და ისინი უდანაშაულოდ ამოწყდებიან“**. მე ვუთხარ: **„რა ვქნა, დედოფალო?“** მან მითხრა: **„ადექ და გამომყე, მიდი და თქვი, რომ შენ მოკალი ის კაცი და გადაარჩინე ურიცხვი სული სიკვდილს“, ხოლო მე სწრაფად ავდექი და გავყევი. მომიყვანა თქვენს წინ, როგორც კი დავიძახე და დამინახეთ, მაშინვე გაუჩინარდა და არ ვიცი, საიდან იყო მოსული“**.

ესრეთ იხსნა ერი თვისი ყოვლადწმინდამან ღვთისმშობელმან...

ალამუთის ციხის ალყას კი ბოლო არ უჩანდა. ამაოდ აწყდებოდნენ მას მონღოლ მოლაშქრეთა ტალღები.

ალამუთის ციხეზე ბოლო, გადამწყვეტი შეტევის წინ მონღოლებმა მეფე დავით ულუ უწინამძღვრეს ქართველთა ლაშქარს.

დავით ულუს ახირებული ჩვეულება ჰქონდა: **„არა არს წესი ჩვენი ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენი კერძო მიმავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი“**.

თავი გაიგიჟეს ქართველებმა, არად ჩააგდეს ციხიდან დაგორებული ლოდები და სეტყვასავით დაშენილი ისრები. საალყო კიბეებით პირველები აცვივდნენ გალავანზე, შიგნით გადახტნენ და განაღეს ბჭე ციხისა და მონღოლთა მთავარ ლაშქარს გზა გაუხსნეს. განიხარებდა დავით მეფე, რომ სწორედ მისმა ლაშქარმა შელეწა ციხე, რომელიც 200 წელი არ დანებებოდა მტერს და 7 წელი ძვრა ვერ უყვეს ჰულაგუ ყაენის ნოინებმა.

იდგა 1256 წელი.

ალამუთის ციხესიმაგრემ დაკარგა ოდინდელი მრისხანე სახელი, იგი რიგით ციხე-საპყრობილედ იქცა, სადაც ჰულაგიდების, ილხანის სამეფოს და შემდეგ ირანის სახელმწიფოს მოწინააღმდეგეები იხდიდნენ სასჯელს.

ისე რომ, ალამუთის ციხეს არც შემდგომ დაუკარგავს ავბედითი სახელი საქართველოს ისტორიაში.

* * *

ირანსა და თურქეთს შორის დადებული ამასიის ზავის (1555 წ.) შემდეგ კახეთის მეფე ლევანი იძულებული გახდა თავისი უფროსი ძე იესე (ვახტანგი) დიდი ძღვენით შაჰის კარზე გაეგზავნა მძევლად ერთგულების დასამტკიცებლად. იესემ მაჰმადიანობა მიიღო და ისახანად იწოდა. მაგრამ შემდეგ სულის სიმხნევე მოიკრიბა, უარყო ისლამი და ირანიდან გამოქცევა განიზრახა. შაჰის ბრძანებით ის შეიპყრეს და ალამუთის ციხეში გამოკეტეს. დაპატიმრებული მემკვიდრის ნაცვლად, მეფე ლევანის სიკვდილის შემდეგ, კახეთის ტახტზე 1574 წელს მომდევნო ძმა ალექსანდრე ავიდა.

ალამუთის ციხეში 9 წელიწადი იჯდა იესეს სიძე — დის ნესტან-დარეჯანის ქმარი, ქართლის გმირი მეფე სვიმონ პირველი, ირანელების წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი.

1569 წელს ფარცხისთან ბრძოლაში მტერს მეგზურად წარმოუძღვა მოღალატე კახაბერ ყორღანაშვილი. ბრძოლა სვიმონ მეფის წარმატებით წარიმართა. ქართველებს ის იყო გამარჯვება უნდა ეზეიმათ, რომ უეცრად, მტრის შუაგულში შეჭრილ სვიმონ მეფეს ყორღანაშვილისგან ჩასაფრებულმა ყიზილბაშებმა ზურგიდან დაუშინეს, ცხენიდან ჩამოაგდეს, ყოველი მხრიდან მიესივნენ, ტყვედ აიყვანეს და ირანის გზას გაუყენეს (სვიმონ მეფის მოღალატე ყორღანაშვილი შემდეგ ქვემო ქართლის პატრონმა საჩინო ბარათაშვილმა საკუთარი ხელით გადაჩეხა გელიყარის კლდეზე).

1578 წელს ირან-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე, შაჰმა იძულებით გამაჰმადიანებული სვიმონ I ტყვეობიდან გაათავისუფლა და საქართველოში დაბრუნა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ის ჩამოსვლისთანავე დაუბრუნდა ქრისტიანობას და სათავეში ჩაუდგა ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ. გმირულად იბრძოლა 22 წელიწადი. ქართველი მეფის სიმამაცით განცვიფრებულმა ოსმალებმა და ყიზილბაშებმა „დელი“ (გახელებული) სვიმონი უწოდეს. 1600 წ. ნახიდურთან უთანასწორო ბრძოლაში ვიწრო ბილიკზე სვიმონ მეფეს ვინმე თულაშვილი უნებლიეთ გვერდიდან ეძგერა და ხევში გადაჩეხა. მეფე ცხენიანად მეწყერში ღრმად ჩაეფლო და ოსმალებმა დაატყვევეს. იგი სტამბოლის „შვიდკოშკა ციხეში“ (იედიყულეში) ჩააგდეს, სადაც 1603 წელს გარდაიცვალა.

ამრიგად, ჯერ ალამუთი, შემდეგ იუდიყულუ, ამ ორ ავად ცნობილ ციხეში 12 წელი გაატარა მამაცმა მეფემ.

ახლა ალამუთის ერთ დროს მრისხანე ციხესიმაგრე მხოლოდ ისტორიული ძეგლია. აღარც ჰასან იბნ-საბაჰის დაფრთიანებული ასასინები არიან, მაგრამ მათი მეთოდები და წესები XX-XXI საუკუნეებში გადაიღეს შუა და ახლო აღმოსავლეთის რადიკალურმა ისლამურმა დაჯგუფებებმა.

დღევანდელი ფიდაები თავიანთი წინაპრების ალიკვალი არიან. 10 საუკუნის წინათ ჩათესილი შხამიანი თესლი კვლავ იძლევა თავის სისხლიან ნაყოფს.

ალეკო ასლანიშვილი

გამოძიებაში აშშ-ის ფედერალური ბიუროს ექსპერტები ჩაერთნენ

საქართველოში აშშ-ის ელჩის იან კელის განცხადებით, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია საერთაშორისო ტერორიზმის საკითხია. ელჩის თქმით, გამოძიებაში ქართულ მხარეს დახმარება ამერიკულმა მხარემ შესთავაზა.

„გამოძიებასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს ტექნიკური დახმარება ჩვენ შევთავაზეთ. ეს საკითხი ყველა ჩვენგანს ეხება. ეს საერთაშორისო ტერორიზმის საკითხია. საქართველო ჩვენი პარტნიორია. რა თქმა უნდა, ჩვენ მზად ვართ საქართველოს ნებისმიერი სახის დახმარება გავუწიოთ. მოხარული ვარ, რომ უსაფრთხოების კუთხით საქართველოსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობა პროდუქტიულია.

რაც შეეხება იმას, იყო თუ არა ახმედ ჩატაევი ლიკვიდირებულთა შორის, ჯერ 100 %-ით უნდა დადგინდეს. რა თქმა უნდა, ბევრი კითხვა არსებობს. გამოძიებაში აშშ-ის ფედერალური ბიუროს ექსპერტები ჩაერთნენ“, — განაცხადა ელჩმა.

ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები თავდაცვის სფეროში ახალ ეტაპზე გადადის

„აშშ-საქართველოს თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში მომავალ წელს უფრო ინტენსიური იქნება“, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა იან კელიმ თავდაცვის მინისტრთან ლევან იზორიასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ლევან იზორიამ და იან კელიმ აშშ-ში ოფიციალური ვიზიტი და ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრების შედეგები შეაჯამეს. ელჩის განცხადებით, აშშ-ში ნოემბერში ქართული დელეგაციის ვიზიტი პოზიტიური და წარმატებული იყო. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ აშშ-საქართველოს ურთიერთობები თავდაცვის სფეროში თვისობრივად ახალ ეტაპზე გადადის. მხარეებმა საქართველოსა და ამერიკას შორის ორმხრივი თანამშრომლობის სამომავლო გეგმები განიხილეს. შეხვედრაზე ყურადღება თავდაცვის უწყებაში რეფორმების განხორციელების პოზიტიურ შედეგებზეც გამახვილდა. ამერიკის ელჩთან შეხვედრას თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი, ასევე საქართველოში აშშ-ის სხვა ოფიციალური წარმომადგენლები დაესწრნენ.

შავ ზღვაში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სარაკეტო ხომალდი შემოვიდა

„ჯეიმს უილიამსი“ წითელ ზღვაში პატრულირების შემდეგ ბოსფორის სრუტეში შევიდა და შავი ზღვის მიმართულებით გადაადგილდებოდა. აშშ-ის სამხედრო ხომალდი აღჭურვილია საომარი საინფორმაციო-სამართავი სისტემით Aegis. ხომალდის შვიდთვიანი ცურვის მიზანი აშშ-ის სამხედრო პოზიციების გაძლიერებაა. აშშ-ის სამხედრო ხომალდზე განთავსებულია „ტომაჰავკის“ ტიპის 56 რაკეტა, რომელიც ბირთვული ქობინებითაა აღჭურვილი. სარაკეტო ხომალდზე SH-60 Seahawk-ის ტიპის ვერტმფრენების განთავსებაა შესაძლებელი. ეკიპაჟი 337 ადამიანისგან შედგება.

აზარტის „დაღვინების“ ვადა

აზარტულ **თამაშებთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოსთვის არახალია. ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, სათამაშო ბიზნესს ძლიერი ლობი რომ მფარველობს, არც ესაა დიდი სიახლე. ამდენად, ამ სფეროში ყველა დაანონსებულ სიახლეს დიდი იმედებისა და საკმაოდ სოლიდური პიარის მიუხედავად, რაიმე საგრძნობი ცვლილება არ მოჰყოლია. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ლაპარაკია, ასე ვთქვათ, „ცოცხალი“ სამორინეების დაბეგვრაზე, ამ სფეროში მბრუნავ თანხებსა და მოგების გადასახადის აშკარად შეუსაბამოდ მწირ თანხებზე, ასევე არასრულწლოვანთა აზარტულ თამაშებში ჩაბმასა და ამ სენით შეპყრობილ ადამიანთათვის ამ დამღუპველი სენისთვის თავის არიდების პირობების შექმნაზე, ზოგიერთ სხვა პრობლემაზე. ამ ჯერზე კი თემასთან მიბრუნების საბაბი ახალი საკანონმდებლო ინიციატივის დებულებებზე მუშაობის დასრულება გახლავთ, რის თაობაზე ინტენსიური მსჯელობა აგერ მერამდენე წელია მიდის. ამდენად, როგორც ჩანს, ახლო მომავალში აზარტული თამაშების ინდუსტრიაში ახალი რეგულაციები უნდა ამოქმედდეს.**

ამ სფეროში ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელიც ჩვენში წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირების, უწინარესად, არასრულწლოვანთა ჩაბმაზე შემზღუდავი ბარიერების არარსებობაა. ამ მიმართულებით ეფექტიანი წინაღობების დაწესებას საზოგადოებრიობა წლების მანძილზე ამაოდ მოითხოვს და ახლა, იმედია, საქმე მკვდარი წერტილიდან უნდა დაიძრას.

აზარტული თამაშების საკანონმდებლო ჩარჩოებში ჩასმას ჩვენში თორმეტწლიანი ისტორია აქვს, რომლის ფუნდამენტური რევიზიის აუცილებლობა 2012 წელს ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდეგ დაიწყო, თუმცა კი ამ სფეროს მარეგულირებელ კანონს „ლატარიების აზარტული და მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ“ მას მერეც არანაირი სახეცვლა არ განუცდია. მეტიც, 2013 წელს ქვეყნის პარლამენტარების ოპოზიციიდანაც და უმრავლესობიდანაც ისეთი არსებითი ცვლილების წინააღმდეგაც კი გამოვიდნენ, როგორიცაა აზარტული თამაშების რეკლამირების სრული აკრძალვა.

შარშან კი აღნიშნულ კანონში ცვლილებებზე მუშაობა ფინანსთა სამინისტროს სათამაშო პოლიტიკის სამმართველოს საგანგებო ჯგუფმა დაიწყო, რომელიც სფეროს კომპეტენტური სპეციალისტებით დაკომპლექტდა.

არსებული ინფორმაციით, სადღეისოდ ახალ კანონპროექტზე მუშაობა დასრულებულია, ის უკვე პარლამენტშიცაა ინიცირებული და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში მისი განხილვები, კერძოდ კი, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის, საფინანსო-საბიუჯეტო, იურიდიულ საკითხთა კომიტეტებში ახლო მომავალში დაიწყება.

რაც შეეხება „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ კანონში“ შესატან ცვლილებათა კონკრეტიკას, მთავარი მომენტი ისაა, რომ **აზარტულ თამაშებში ახალგაზრდების ჩართვა მხოლოდ 21 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ გახდება შესაძლებელი და არა, 18 წლიდან, როგორც ეს ამჟამადაა ნებადართული. ამასთან, აუცილებელი რეგისტრაციის გასავლელად შესაძლოა, პირის სათამაშო ობიექტზე მისვლაც კი გახდეს აუცილებელი, რისი მიზეზიც ისაა, რომ ადგილზე გადამოწმდეს მოქალაქის აზარტულ თამაშში ჩაბმის უფლება. ასევე გამორიცხული არ არის აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა ერთგვარი რეესტრი, რომელში მოხვედრის შემთხვევაში კონკრეტულ მოქალაქეს სამორინეებსა და ონლაინ-აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მიღება შეზღუდული ფორმით ექნება.**

აზარტული თამაშების სამყაროსავით ძირძველ თემაში მეტად მნიშვნელოვანი მოსალოდნელი ცვლილება ისიცაა, რომ გამორიცხული არ არის ერთგვარი საზოგადოებრივი სამუშაო ჯგუფის შექმნა. იგი სახელმწიფო მმართველი აპარატის, სავარაუდოდ, ფინანსთა სამინისტროს, ასევე საზოგადოებისა და ეკლესიის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება და სფეროს საკანონმდებლო დახვეწის მიმართულებით გარკვეული ინიციატივების წამოყენების მხრივ იმუშავებს. თუმცა კი რამდენად ქმედითი იქნება ასეთი ორგანო და რამდენად რეალურად განსახორციელებელი ინიციატივების წამოყენებას შეძლებს, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია.

ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კანონპროექტის ჩარჩოებს მიღმა დარჩენილია ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ონლაინ-კაზინოების არსებობა, რომელიც სამუშაო ჯგუფის წევრებს საერთოდაც არ განუხილავთ. ამის თაობაზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრმა **ირაკლი ბერაიამ,** კერძოდ, განაცხადა, რომ დღესდღეობით საკითხისადმი მიდგომის მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული სამი მოდელიდან, რომელთა შორისაა აკრძალვა, მონოპოლია და რეგულირება, ყველაზე მეტად ამ უკანასკნელმა გაამართლა.

— რაც შეეხება აკრძალვას, ამ შემთხვევაში დიდი სირთულეები იქნება გადასალახავი, რომლებიც ინტერნეტს უკავშირდება, თანაც ეს არასწორი იქნებოდა, რის შედეგად აზარტული თამაშები ქუჩაში გადაინაცვლებს, რაც კრიმინალის დონეს გაზრდის, — აღნიშნავს დეპუტატი.

ამასთან, იგი იმასაც დასძენს, რომ აზარტული თამაშების გარკვეული სეგმენტი ამჟამადაც ჩრდილოვან სფეროშია მოქცეული, ამდენად მისი კრიმინალური მდგენელისგან სრული დამცველი ვერცერთი კანონპროექტი ვერ იქნება, თუმცა კი, ამისკენ სწრაფვა აუცილებელია.

ოთარ ტურაბელიძე

რომის პაპი მიანმარში ჩავიდა

ფრანცისკე პირველი დე ფაქტო ლიდერს უნ სან სუ ჩის შეხვდება. მხარეები ქვეყანაში შექმნილ ვითარებას განიხილავენ. მიანმარში სიტუაცია 25 აგვისტოს დაიძაბა, მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა მუსლიმებმა პოლიციისა და არმიის საგუშაგოებზე მოაწყვეს თავდასხმები. პასუხად, ხელისუფლებამ რაკჰაინის რაიონში მასობრივი რეიდები მოაწყო, რასაც ასობით მუსლიმი როჰინჯა ემსხვერპლა, 300 ათასზე მეტი კი ბანგლადეშში გაიქცა.

ტრამპს სექსუალური შევიწროების ბრალდებას უყენებენ

სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებენ შეერთებული შტატების პრეზიდენტს, დონალდ ტრამპსაც. ბრალდება მას ჰოლივუდის მსახიობმა ბილი ბოლდიუნმა წაუყენა. მსახიობის თქმით, ტრამპი მის მეუღლეს ჩინა ფილიპს გაეარშიყა. ინციდენტი 1990 წელს სასტუმრო „პლაზაში“ მოწყობილ წვეულებაზე მოხდა, სადაც ბოლდუინის თქმით, ტრამპი დაუპატიჟებლად მივიდა. ინციდენტს ერთ-ერთი თვითმხილველიც ადასტურებს. ის ამბობს, რომ ტრამპმა ბოლდუინის მეუღლის ვერტმფრენში აყვანა თითქმის ძალით სცადა.

„მის სამყარო“ აფრიკელი ლამაზმანი გახდა

ლას ვეგასში 2017 წლის „მის სამყარო“ დაასახელეს. ტიტული სამხრეთ აფრიკელმა ლამაზმანმა, 22 წლის დემი ლი ნელ პიტერსმა მოიპოვა. გამარჯვებულმა ადამიანის ყველაზე დადებით თვისებად თავდაჯერებულობა დაასახელა. ახალი „მის სამყაროს“ ამბობს, რომ კონკურსანტებს საკუთარი შიშის დაძლევა უნდა შეეძლოთ. იგივე რჩევა მან მსოფლიოს ყველა ქალბატონს მისცა.

რუმინელმა ქალმა იტალიაში სექს-მონობაში 10 წელი გაატარა

იტალიის პოლიციამ 29 წლის რუმინელი ქალი გაათავისუფლა, რომელმაც სექსუალურ მონობაში 10 წელი გაატარა. შემზარავი ფაქტი სამართალდამცველებმა შემთხვევით გამოააშკარავეს. პატრულირებისას მათი ყურადღება მოუვლელმა მანქანამ და მისმა მძღოლმა მიიქცია. პოლიციელებმა ეჭვმიტანილის საცხოვრებელი სახლი დათვალიერეს. მათ სარდაფში საწოლზე მიბმული ქალი და ბავშვები აღმოაჩინეს. გაირკვა, რომ ქალი რუმინეთიდან იტალიაში 10 წლის წინათ ჩავიდა და ერთ-ერთ ოჯახში მოხუცი ქალის მომვლელად მუშაობდა. მოხუცის გარდაცვალების შემდეგ კი ის ოჯახის წევრმა მამაკაცმა დაატყვევა და მასზე სექსუალურად ძალადობდა. 10 წლის განმავლობაში ქალმა 2 შვილი გააჩინა. პოლიციამ მოძალადე უკვე დააკავა, ქალი და ბავშვები კი საავადმყოფოში არიან გადაყვანილები.

პრინცი ჰარი დაინიშნა

ამის შესახებ სააგენტო როიტერი იტყობინება. პრინცის რჩეული 35 წლის მეგან მარკლი გახდა. ინფორმაცია წყვილის შესაძლო ქორწინების შესახებ ბრიტანულ მედიაში ჯერ კიდევ ზაფხულში გავრცელდა, თუმცა როგორც ჟურნალისტები ვარაუდობდნენ, ბუკინგემის სასახლე ჰარისა და მეგანის ურთიერთობის მიმართ ენთუზიაზმით არ იყო განწყობილი. ამის მიზეზად მედია ორ ფაქტორს ასახელებდა: მეგანი ჰარიმდე ერთხელ უკვე იყო ქორწინებაში. გარდა ამისა, მას აფროამერიკელი დედა ჰყავს.

ინფორმაცია

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა

გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის 2017 წლის 18 ნოემბრის №236-ის ინფორმაციაზე დამატებით გაცნობებთ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა ასევე ჩატარდება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ქ. ხაშური ტაბიძის ქ. №2 2018 წლის 12 იანვარს 11:00 საათზე. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ბეჭდური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ:

მაია ვაშაკიძე ტელ: 593 32 30 77; ელ. ფოსტა: maya_vashakidze@yahoo.co.uk

გია სოფაძე ტელ: 599 93 92 09; ელ. ფოსტა: gia.sopadze@georoad.ge საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის 2017 წლის 18 ნოემბრის №236 გაზეთის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

INFORMATION ABOUT PUBLIC CONSULTATION

Roads Department of Georgia makes this announcement to addition of the ¤236 "Georgian Republic" newspaper dated 18 November 2017 for the attention of stakeholders that public consultation on **Environmental and Social Impact Assessment of Works for the Improvement of Chumateleti-Khevi Section of E-60 Highway** is additionally planned to be held at the Khashuri Municipality 12 January 2018 at 11:00. Address: Khashuri, ¤2 Tabidze Str.

Electronic version of the documents is available at the web page of Roads Department: www.georoad.ge; and hard copy of the document will be available at Khashuri Municipality.

Please send your comments and remarks below mentioned Contact persons:

Maya Vashakidze. Tel: 593323077; E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk

Gia Sopadze Tel: 599 93 92 09; E-mail: gia.sopadze@georoad.ge

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი და გრანტი (IFAD Loan #: 2000000778; IFAD Grant 2000000248) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი სამუშაოებისთვის: **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგეთში შიდასასოფლო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია**

კონტრაქტით №: ***AMMAR/CW/2017/11***

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. კონტრაქტის ხანგრძლივობაა 3 თვე.

2. კონტრაქტის მინიჭებისათვის კონკურსის მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში – **2,00,000 ლარი** დღგ–ს ჩათვლით
- ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური კონტრაქტორის როლში მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის,მინიმუმ **400,000 ლარის** (დღგ–ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება, **რომლის ფარგლებში ჩატარდა გზების არანაკლებ 10 კმ-ს მოწყობა/რეაბილიტაცია/მშენებლობა** (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არანაკლებ 70%-ით უნდა იყოს დასრულებული).
- კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო სახსრების (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობაა – **200,000 ლარი.**

3. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2017 წლის 28 ნოემბრიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;

ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;

გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი - 4411.

4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მოერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს ***2017 წლის 25 დეკემბერს 12:00 საათისა,*** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

5. **დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.**

მისამართი:

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი 309

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქმის №010210617002010628
2-2698/17

3750048590833

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

09/11/2017 წელი ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე გოჩა ფუტკარაძე

განმცხადებელი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

წარმომადგენელი: ზვიად მაკარაძე

განმცხადებლის მოთხოვნა: ქონების უპატრონოდ ცნობა;

განიხილა განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე და

გამოარკვია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო განცხადებით მოითხოვს უპატრონოდ იქნას ცნობილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები, კერძოდ: – „გაზ 20 პობედა", ძარა: - 40842, ძრავი- 258972 და „გაზ 20 პობედა" ძარა: – 79246, ძრავი 101055, შასი: - 108144, გამოშვებული 1953 წელს, ყავისფერი 1/8.

განმცხადებელი თავის მოთხოვნას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 2009 წლიდან ფლობს ორ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, კერძოდ: – „გაზ 20 პობედა", ძარა: – 40842, ძრავი – 258972 და „გაზ 20 პობედა" ძარა: – 79246, ძრავი 101055, შასი: - 108144, გამოშვებული 1953 წელს, ყავისფერი 1/8. ავტომანქანები აჭარის ა/რ საკუთრებად რეგისტრირებული არაა. ავტომანქანების მესაკუთრის დადგენის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ გაატარა რიგი ღონისძიებები, მაგრამ მიუხედავად მცდელობისა ვერ შეძლო დაედგინა მისი მესაკუთრის ვინაობა. „გაზ 20 პობედა", ძარა: – 40842, ძრავი- 258972 ვინმეს სახელზე რეგისტრირებული არაა, ხოლო „გაზ 20 პობედა" ძარა: – 79246, ძრავი 101055, შასი: – 108144, გამოშვებული 1953 წელს, ირიცხება გურამ აბულაძის საკუთრებად. საქმის მასალებით დგინდება, რომ გურამ აბულაძე გარდაცვლილია. მან ავტომანქანა გაყიდა თავის სიცოცხლეში, მაგრამ მისი შემძენი ცნობილი არაა. ამდენად ავტომაქანების მესაკუთრეები ცნობილნი არ არიან და გადასაწყვეტია მათი საკუთრების ბედი. განმცხადებელი მოითხოვს დასახელებული სატრანსპორტო საშუალებები ცნობილი იქნას უპარტონოდ და საკუთრებაში გადაეცეს მის მფლობელს აჭარის ა/რ რესპუბლიკას.

სასამართლო განმარტავს, რომ ავტომანქანის უპატრონოდ ცნობა დაკავშირებულია რიგ საპროცესო მოქმედებებთან. პირველ რიგში აუცილებელია დადგინდეს მისი მესაკუთრის ვინაობა, ასევე უნდა დადგინდეს მათ საკუთრებასთან დაკავშირებით ვინმეს აქვს თუ არა პრეტენზია. ავტომანქანების მფლობელმა განახორციელა რიგი ღონისძიებები, მაგრამ მან ვერ შეძლო მესაკუთრის ვინაობის დადგენა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლის საფუძვლებით, რომლის მიხედვითაც, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავდეს: იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ; განმცხადებლის ვინაობას; იმ ქონების აღწერას, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს; მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.

დასახელებული ნორმის მიზანია უპატრონოდ ასაღიარებელი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის გადასაწყვეტად, დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდოთ და ამ გზით დაცული იყოს მათი უფლებები. დასახელებული ნორმის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ სატრანსპორტო საშუალებების უპატრონოდ ცნობისათვის გაზეთ – **შპს „თანადგომა-1 გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი" (ს/კ 202411808) „გაზეთი რესპუბლიკა")** უნდა მოხდეს პუბლიკაციის გამოქვეყნება. პუბლიკაცვიის გამოქვეყნების მიზანია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე სხვა პირთა პრეტენზიის გამოვლენა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. შპს „თანადგომა -1 გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის გამომოცემელი" (ს/კ 202411808) „გაზეთი რესპუბლიკა") გამოქვეყნდეს პუბლიკაცია მასზედ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მფლობელობაშია შემდეგი სატრანსპორტო საშუალებები:

– ავტომანქანა „გაზ 20 პობედა" (ძარა: 40842, ძრავი 258972)

– ავტომანქანა „გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი 101055, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მოითხოვს დასახელებული ავტომანქანები უპატრონოდ იქნეს ცნობილი და გადაეცეს საკუთრებაში.

3. დაინტერესებულ პირებს განემარტოთ, რომ თუ მათ ჩამოთვლილი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ გააჩნიათ პრეტენზია, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

4. განჩინებაზე საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე გოჩა ფუტკარაძე

◎ ჭიდობა

გენოს „ოქრო“ და სამი „ბრინჯაო“

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში დამთავრდა 23-წლამდელ ფალავანთა მსოფლიოს ჩემპიონატი. გასულ უქმეებზე ხალიჩა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმოთ. საქართველოს ნაკრების წევრებმა ერთი ოქროსა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რითაც საერთო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს.



მსოფლიოს ჩემპიონმა და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა გენო პეტრიაშვილმა (მძიმე წონა) პოლონეთში ოთხი შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოიგო და ჯამში მეტოქეებს 45:1 აჯობა. ჯერ იაპონელი ტაიკი იამამოტო დაამარცხა (10:0), მერე მის კვალს გაუყენა ჩინელი ჟანქსიანგ ჰუ (10:0) და უკრაინელი დანილო კარტავცი (14:1), ფინალში კი რუსეთის ნაკრების წევრ მაგომედამინ დიბიროვს 3 წუთსა და 42 წამში 11 უპასუხო ქულა აართვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა.

პეტრიაშვილის „ოქროს“ ბრინჯაოს მედლები მირზა სხულუხიამ (70 კგ), ავთანდილ კენჭაძემ (74) და ირაკლი მწითურმა (86) შემატეს. სხულუხიამ პირველივე შეხვედრა ინდოელ კუმარ ომპრაკაშ ვინოდთან დათმო

(0:3). აზიელი მოჭიდავე ფინალში გავიდა და სხულუხიას რეპეშაჟისკენ გაეხსნა გზა, სადაც ორ მეტოქეს სძლია — უკრაინელ ალი ზაკარიევსა (7:3) და იაპონელ ნობუიოში ტაკოჯიმას (3:0).

კენჭაძემ პირიქით— ძირითად ბადეში მონღოლ ბატსუხ ბოლდხუუს (13:2), ბელარუს ანდრეი კარპაჩისა (15:5) და იაპონელ იაჯურო იამასაკის (7:4) მოუგო, ნახევარფინალი მომავალ ჩემპიონთან — რუსეთის ნაკრების წევრ გაჯი ნაბიევთან წააგო (3:7). დამამშვიდებლის ფინალში კი ამერიკელი ისაია ალექსანდერ მარტინესი დაჯაბნა (11:0).

მწითურმაც კარგი სტარტი აიღო — ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან თურქი მურად ერთურქი (6:1) და შვეიცარიელი სტეფან რეიჩმუტი (3:2), მაგრამ მეოთხედფინალში ყაზახ აზამატ დაულეთბეკოვთან დამარცხდა (1:7). სამაგიეროდ, რეპეშაჟში იყოჩაღა — აზერბაიჯანელ ჰაჯიმურად მაგომედსაიდოვსა (2:1) და კუბელ ლაზარო დანიელ ჰერნანდეს ლუისთან (4:1), რითაც „ბრინჯაო“ გაინაღდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

ქუთაისის „ტორპედო“ - ოთხგზის!

თანაც, დუბლის პერსპექტივით

სპორტული გმირობა — სხვაგვარად ძნელია შეაფასო ეროვნული საფეხბურთო ლიგის ფინიშზე განვითარებული მოვლენების შედეგად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ქუთაისის „ტორპედოს“ ასვლა. რიონისპირელებმა თხუთმეტწლიანი პაუზის შემდეგ მეოთხედ მოიპოვეს ოქროს მედლები, ამჯერად — კახა ჩხეტიანის თავკაცობით. ვულოცავთ!

ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა თბილისის „დინამომ“ კი მშვენიერი მაგალითი მოგვცა იმისა, თუ როგორ უნდა გაანიავო მთელი სეზონის განმავლობაში შექმნილი ქულათა სოლიდური მარაგი და ხონჩით მიართვა წოდება მეტოქეს.

მოგეხსენებათ, სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში კახა კაჭარავას გუნდი ერთბაშად მისმა რამდენიმე ლიდერმა დატოვა (პაპუნაშვილი, ლობჟანიძე, ჭანკვეტაძე და არაბული), ასეთმა მძიმე დანაკლისმა კი საბედისწერო როლი მეორე წრეში ითამაშა.

და მაინც, მომქანცველი მარათონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ყველაფერი „თეთრ-ლურჯების“ ხელში იყო — ისინი ოთხი(!) ქულით უსწრებდნენ უახლოეს მდევარს. სწორედ ამ დროს იჩინა თავი გამოუცდელობამ — უდავოდ პერსპექტიულ, მაგრამ ახალგაზრდა დინამოელებს არ აღმოაჩნდათ ყოჩი, რომელიც გადამწყვეტ მომენტში ოლიმპისკენ გაუძღვებოდათ. მეტიც — „საბურთალოსთან“ 0:0 დამთავრებული შეხვედრის მიწურულს თბილისელთა დაცვის ბურჯმა თოთაძემ მეხუთე გაფრთხილება დასტყუა მსაჯს, რამაც „ოქროს მატჩში“ თამაშის საშუალება არ მისცა.

ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ მისი ზონიდან გაიტანდა სტუმართა თავდამსხმელი კაპანაძე საჩემპიონო გოლს — 1:0, საფინალო სასტვენის წინ კი კიტეიშვილს ნერვები უმტყუნებდა და საპენალტო დუელს წააგებდა კვასხვაძესთან — „დინამო არენას“ პრეს-ლოჟაში ბევრმა გამოთქვა ვარაუდი, რომ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან დარტყმა თოთაძეს რომ შეესრულებინა, ანგარიში გათანაბრდებოდა, რაც მასპინძელთა ტრიუმფის ტოლფასი იქნებოდა.

ასეა თუ ისე, ერთ მუშტად შეკრულმა ქუთათურებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ბრძოლას ყოველთვის, მათ შორის — თითქმის უიმედო სიტუაციაშიც კი აქვს აზრი და ღირსეულად ავიდნენ ტახტზე.

ეროვნული ლიგის XXXVI ტური. „დინამო“ — „ტორპედო“ 0:1, „სამტრედია“ — „დილა“ 2:2, „ჩიხურა“ — „ლოკომოტივი“ 1:0, „შუქურა“ — „საბურთალო“ 1:2, „ბათუმი“ — „კოლხეთი“ 1:2.

საბოლოო მდგომარეობა: „ტორპედო“ — 76, „დინამო“ — 75, „სამტრედია“ — 68, „საბურთალო“ — 60, „ჩიხურა“ — 55, „ლოკომოტივი“ — 53, „დილა“ — 41, „ბათუმი“ — 33, „კოლხეთი“ — 26, „შუქურა“ — 21 ქულა.

ბომბარდირი. სიხარულიძე („ლოკომოტივი“) — 25 გოლი.

სეზონი დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის ფინალით 2 დეკემბერს დაგვირგვინდება: „ტორპედო“ — „ჩიხურა“. ასე რომ, ქუთაისელებს დუბლის შანსი აქვთ.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

„ბორჯღალოსანთა“ მაჟორული ფინიში

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 2017 წლის დასკვნით მატჩში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე აშშ-ის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. უელსთან ჩატარებული პაექრობის შემდეგ ბევრი სტუმრებს ალმაცერად უყურებდა, არადა, თავად მილტონ ჰეიგმა თქვა, რომ საქართველო და აშშ დაახლოებით ერთი დონის გუნდები არიანო.

„არწივებს“ რომ ძალიან კარგი ნაკრები ჰყავთ, ეს მატჩის დასაწყისშივე გამოჩნდა, როცა ჯო ტაუფეტეჰემ პირველი ლელო გაგვიტანა, მაგრამ მაკგინტიმ გარდასახვა ვერ გამოიყენა. ეს ეპიზოდი ჩვენთვის იმითაც იყო ცუდი, რომ ვასილ ლობჟანიძე დაშავდა და თამაში ვეღარ განაგრძო.

მიღებული ლელოს შემდეგ მასპინძლები გამოფხიზლდნენ და უფრო აქტიურად შეუტიეს. ათიოდე წუთში სტუმრთა 5-იანთან ჩვენი შერკინება დაინიშნა, ქართველმა მორაგბეებმა იყოჩაღეს და მსაჯმა საჯარიმო ლელო ჩათვალა. 23-ე წუთზე ტაუფეტეჰემ დუბლი შეასრულა, ხოლო მაკგინტი გარდასახვისას ზუსტი იყო - აშშ მეორედ გავიდა წინ. ტაიმის დასასრულამდე მატჩის სადავეები „ბორჯღალოსნებმა“ იგდეს ხელთ: ლევან ჩილაჩავამ და ჯაბა ბრეგვაძემ ლელოებით, სოსო მათიაშვილმა კი ზუსტი გარდასახვებით გამოიჩინა თავი და საქართველოს ნაკრები 21:12 დაწინაურდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებს ქულა არ მოუპოვებიათ, რადგან უპირატესობა ამერიკელთა მხარეს იყო. პირველი ტაიმის მონაგარს მათ საფინალო სასტვენამდე 8 ქულა შესძინეს: 76-ე წუთზე მარცხენა ფლანგზე ბრაის კემპბელმა ხაზი გაჭრა და მისი შეჩერება ვერავინ შეძლო. ჩვენდა საბედნიეროდ, მაკგინტიმ გარდასახვა ვერ გამოიყენა და საქართველოს ნაკრებმა მძიმე გამარჯვებით (21:20) ოკეანისგაღმელებთან საერთო ანგარიში გაათანაბრა - 3:3.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ნაკრებმა 2017 წელს 11-იდან 8 შეხვედრა მოიგო და 3-ჯერ დამარცხდა:

რაგბი ევროპის ჩემპიონატზე — ბელგია (31:6 სტუმრად), გერმანია (50:6 შინ), ესპანეთი (20:10 სტუმრად), რუსეთი (28:14 შინ), რუმინეთი (7:8 სტუმრად); ივნისის ტესტები — აშშ (21:17 სტუმრად), კანადა (13:0 სტუმრად), არგენტინა (29:45 სტუმრად); ნოემბრის ტესტები — კანადა (54:22 შინ), უელსი (6:13 სტუმრად), აშშ (21:20 შინ).

„პირველ ტაიმში ბევრი შეცდომა დავუშვით, საკუთარი შერკინება წავაგეთ და დერეფანი დავთმეთ. მოხარული ვარ, რომ მიუხედავად ამისა მოგება მოვახერხეთ. რამდენიმე წლის წინათ ასეთ თამაშს ნამდვილად წავაგებდით. ჩვენი მიზანი ნოემბრის ტესტებზე სამივე მატჩის წარმატებით დასრულება იყო, რაც, სამწუხაროდ, ვერ შევძელით, თუმცა, საქართველოს ნაკრებმა ამ ტესტებით წინ დიდი ნაბიჯი გადადგა“, — აღნიშნა ამერიკასთან მატჩის შემდეგ მილტონ ჰეიგმა.

2018 წლის პირველ შეხვედრას „ბორჯღალოსნები“ 10 თებერვალს გამართავენ — რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ბელგიას უმასპინძლებენ.

ლაშა დიდია

◎ კალათბურთი

რეკორდი გვიშველის?..

გამართლდა საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ქომაგთა ყველაზე უარესი ვარაუდი — მსოფლიო თასის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის დებულებამ ილიას ზუროსის გუნდს გადაუჭრელი საკადრო პრობლემები შეუქმნა, რაც სათუოს ხდის ჯგუფში მინიმუმ მესამე ადგილის დაკავებასაც კი, რითაც ჩინეთში 2019 წელს დაგეგმილ ფორუმზე მოსახვედრად ბრძოლის გაგრძელების შანსი შეგვინარჩუნდება.

მართალია, ქემნიცში გერმანიასთან გამართულ სასტარტო შეხვედრაში მთელი რიგი წამყვანი მოთამაშეები გვაკლდა, მაგრამ განსაკუთრებით ევროლიგაში მოასპარეზე შერმადინისა და შენგელიას არყოფნამ დაგვაღალატა, რამაც ზირბეს, ბენზინგსა და ტადას ფარქვეშ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვების საშუალება მისცა.

და ეს მაშინ, როცა „ჯვაროსნებმა“ სამქულიანების ჩაგდების რეკორდი დაამყარეს (16, აქედან 5-5 — დიქსონმა და ბერიშვილმა). დავძენთ, რომ ძველი მიღწევა — 15 სლოვაკებთან 2008 წლით თარიღდებოდა.

სერბეთი — ავსტრია 85:64.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ტაბლო

ფიგურული სრიალი

ჩინეთი. „შანხაი ტროფი — 2017“. ვაჟთა ერთეულების თანრიგი. მორის ყვითელაშვილი — II ადგილი.

ავტოსპორტი

ფორმულა — 1 აბუ დაბის გრანპრი. პოდიუმი. ვალტერი ბოტასი (ფინეთი, მერსედესი), ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მერსედესი), სებასტიან ფეტელი (გერმანია, ფერარი).

საბოლოო საერთო ჩათვლა. ჰემილტონი — 363, ფეტელი — 317, ბოტასი — 305 ქულა.

კონსტრუქტორთა თასი. მერსედესი — 688, ფერარი — 522, რედ ბული — 368 ქულა.

ჩოგბურთი

ლილი. დევისის თასი. ფინალი. საფრანგეთი — ბელგია 3:2. ეს მასპინძელთა მეათე ტრიუმფია.

კოგა კოგახიძე

ვინ არის მიტროპოლიტი შიო მუჯირი, რომელიც პატრიარქმა მოსაყდრედ დაასახელა

სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქმა მოსაყდრედ დაასახელა, ილია მეორეს ქორეპისკოპოსია.

მიტროპოლიტი შიო 48 წლისაა. დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა. 1988 წლიდან ელიზბარ მუჯირმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვიოლონჩელოს კლასში. 1993 წელს მორჩილი ელიზბარი აღკვეცეს მონაზვნად და უწოდეს სახელად შიო. 1995 წელს მონაზონი შიო დიაკვნად აკურთხეს. 1996 წელს პატრიარქმა აკურთხა მღვდლად. 1997 წელს მღვდელმონაზონი შიო დაინიშნა თბილისის კლდისუბნის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. 1998 წელს მან დაამთავრა ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია და სწავლა მოსკოვის სასულიერო აკადემიის დაუსწრებელ ფაკულტეტზე გააგრძელა. 1998 წლის აპრილში მღვდელმონაზონ შიოს მიენიჭა იღუმენის წოდება, ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და დაადგინეს ილია წინასწარმეტყველის ტაძრის წინამძღვრად. 1999 წლიდან იღუმენი შიო თბილისის ანჩისხატის ტაძრის ღვთისმსახურია. იმავე წლის სექტემბრიდან ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარია. 2001 წლის ოქტომბრიდან იგი მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარია, პარალელურად სწავლობდა მოსკოვის წმიდა ტიხონის საღვთისმეტყველო ინსტიტუტში. 2003 წლის 18 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა იღუმენი შიო გამოარჩია ახლადშექმნილი სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის წინამძღოლად. 2007 წლის 25 დეკემბერს ეპისკოპოსი შიო დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ორდენით. 2009 წლის ეპისკოპოსი შიო აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში, 2010 წელს კი მიტროპოლიტი გახდა. „ტაბულას“ წყაროების ინფორმაციით, მეუფე მიტროპოლიტი მუჯირი არის საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილისა და ლევან ვასაძის მეგობარი. მეუფე შიო არის ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიტროპოლიტიც.



ვინ არის მეუფე შიო და რა კავშირები აძვს რუსეთის საპატრიარძოსთან?

1991 **წელს** ელიზბარ მუჯირი მორჩილად დაემკვიდრა შიომღვიმის მონასტერში. 1993 წლის 5 თებერვალს მორჩილი ელიზბარი აღკვეცეს ბერად და უწოდეს სახელად შიო. იგი დადგენილ იქნა მონასტრის ტრაპეზრად, შემდეგ — ეკონომოსად.

მეუფე შიოს მოსკოვში კარგად იცნობენ და იგი რუსეთის პატრიარქის კარზე საკმაოდ მიღებულ პერსონად მიიჩნევა. რამდენიმე ხნის წინათ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის სპეცსამსახურებმა რუსეთის ეკლესიასთან და კერძოდ, პატრიარქ კირილთან უკვე შეათანხმეს საკითხი საქართველოს პატრიარქის „მემკვიდრის“ შესახებ, მომავალი პატრიარქი უკვე შერჩეულია და ამ პროცესში ლევან ვასაძეც არის ჩართული, რომელიც ერთგვარი შუამავალია რუსეთსა და ქართველ სასულიერო პირებს შორის. მოქმედება განახორციელეს რუსეთის სპეცსამსახურებმა, რუსეთის პატრიარქ კირილის თანხმობით.

ამასთან პატრიარქის და საპატრიარქოს დელეგაციის მოსკოვში ვიზიტების ორგანიზებას ხშირად სწორედ მიტროპოლიტი შიო მუჯირი აგვარებდა. 2011 წელს მაღალყოვლადუსამღვდელოესმა შიომ ორგანიზება გაუკეთა პატრიარქისა და მიხეილ ხუბუტიას შეხვედრას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუჯირი რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის ლევან ვასაძის ახლო მეგობარია.

„ციანიდის საქმესთან“ დაკავშირებით, 2017 წლის 9 მარტს, საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატარიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, მდივნად დაინიშნა სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო, სადაც ცხადი გახდა მეუფის ამბიციებიც.

საარქივო ფოტოზე, წლების წინათ რომ გავრცელდა სოციალურ ქსელში, ერთ ფოტოზე აღბეჭდილი არიან: საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ბიზნესმენი ლევან ვასაძე, პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე, რეჟისორი გიო მგელაძე, მამა გრიგოლი (ერის კაცობაში გიორგი ჭიჭინაძე), ქორეპისკოპოსი მეუფე შიო (ერის კაცობაში ელიზბარ მუჯირი).



ქრისტეშობის მარხვის დასაწყისი - 28 ნოემბერი

საქართველოს **წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მოციქულ ფილიპეს, ხოლო მეორე დღეს, 28 ნოემბერს იწყებს შობის მარხვას.**

ცნობილია, რომ მოციქული ფილიპე დიდად განსწავლული იყო წმინდა წერილში, მას სწორად ესმოდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებათა არსი და მესიის მოლოდინით ცხოვრობდა. მოციქული პირველი გაჰყვა მაცხოვარს, როცა მან მოუწოდა ამის შესახებ...

აღსანიშნავია ისიც, რომ იესო ქრისტეს აღდგომისა და მისი ამაღლების შემდეგ, ის გალილეაში ქადაგებდა ღვთის სიტყვას. საგულისხმოა ისიც, რომ იესო ქრისტეს სწავლებას სასწაულები თან ახლდა.

საინტერესო ცნობები გვხვდება მე-10 საუკუნის კრების საეკლესიო ოქმებში. მანამდეც, მე-4 საუკუნიდან არის ცნობები დაცული ქრისტეშობის მარხვის შესახებ.

P.S. შობის მარხვის დღეები 25 დეკემბრამდე, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, თევზით ხსნილია.

გიული ლიპარტია

პატრიარქის ღირსეული მოსაყდრე

სამეგრელოს **მცხოვრებთა დიდი ნაწილი კარგად იცნობს მიტროპოლიტ შიოს მამობრივ მოღვაწეობას. ცნობილია, რომ 2003 წლის 8 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის კრების განჩინებით ჭყონდიდისა და ფოთი-სენაკის ეპარქიათა ხელახალი გადანაწილების საფუძველზე ჩამოყალიბდა სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია.**

ახლად დაარსებული ეპარქიის საჭეთმპყრობლად სინოდმა გამოარჩია 34 წლის არქიმანდრიტი შიო (მუჯირი), რომელსაც ჰქონდა უმაღლესი სასულიერო განათლება და გარკვეული გამოცდილება სასულიერო მოღვაწეობისა. მახსოვს არქიმანდრიტ შიოს მიერ სენაკის იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში ჩატარებული პირველი წირვა და ქადაგება. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა... მან დინჯად, აუჩქარებლად ისაუბარა უფალზე, რწმენაზე, მარადიულზე, წარუვალზე, ჭეშმარიტებაზე, ღმერთის იმგვარ გაგებაზე, რაც გზას უხსნის მის სრულქმნას და შემოქმედებით აქტივობას, რომ ადამიანის უმაღლესი ნიშანი გონითი აქტია, ხოლო გონი დედამიწაზე გაგრძელებაა ზეციური გონისა და გარანტია თანაშემოქმედებისა.

ეპარქიაში მობრძანების დღიდან მეუფემ გააძლიერა ზრუნვა ორთავე რაიონში მრევლის რწმენის გაჯანსაღებისთვის. საზრუნავად გაიხადა, აეშენებინა სალოცავები და ტაძრები. მეუფემ შეძლო სისრულეში მოეყვანა ჩანაფიქრი. სენაკში გახსნა წმინდა მამა ალექსი ბერის სახელობის გიმნაზია, კეთილმოწყობილი, თანამედროვე სასწავლებელი, სადაც დღეს სამასზე მეტი ახალგაზრდა ეუფლება ცოდნას.

მეუფე შიო ის მღვდელმსახურია, რომელსაც ზედმიწევნით გათავისებული აქვს ჩვენი ეკლესის ამაგი წარსულში. ის, რომ დედაეკლესიამ მრავალი საუკუნის განმავლობაში დაიცვა ჩვენი ვინაობა, გვიხსნა გადაგვარება-განადგურებისგან, რომ მის შვილთა მიერ შეიქმნა რჩეული ლიტერატურული და ხუროთმოძღვრული ქმნილებები...

სწორედ ეს ედო საფუძვლად იმას, რომ მეუფე შიომ, როგორც ნიჭიერმა და მზრუნველმა მღვდელმსახურმა, დიდი შრომა გასწია დაეთვალიერებინა, არაერთხელ მოელოცა ეპარქიაში შემავალი ტაძრები. შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებოდა ნაგებობების აღდგენასა და წირვა-ლოცვის სრულყოფაში. მეუფე გაეცნო სამეგრელოს მდიდარ ტრადიციებს. განსაკუთრებული დაინტერესება გამოავლინა ღირსი მამა ალექსი ბერის (სენაკელის) ღვაწლის შესწავლისა და წარმოჩენისთვის. საფუძვლიანად მოიკვლია სამეგრელოში ერთ-ერთი პირველი — თეკლათის ყოვლისწმინდა ღვთისმშობლის შობის დედათა მონასტრის დაარსების წარსული და 2014 წელს გამოიცა წიგნი „თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიიდან“ (მე-19 საუკუნის 60-იანი და მე-20 საუკუნის 30-იანი წლები). ეს გახლავთ კვალიფიციური, მეცნიერულად დასაბუთებული 260-გვერდიანი ნაშრომი, რომელიც საფუძვლად დაედო მეუფე შიოს სადოქტორო სამეცნიერო ნაღვაწს.

სასიხარულოა, რომ მეუფე აქტიურად მონაწილეობდა მხარის სასულიერო თუ შემოქმედებით საქმიანობაში. სწორედ მისი ლოცვა-კურთხევით შევადგინე უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას მოღვაწეობისა და ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნი. ასევე, ეგრისის ისტორია „მზე ქარიშხალში“ და სხვა.

ღვთის ნებით, მეუფე შიო მისაბაძ გულკეთილებას იჩენდა უპოვართა და ავადმყოფთა მიმართ. დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ უფრო დიდ ყურადღებას გამოიჩენს ახალგაზრდების აღზრდისა და შეჭირვებულთა დახმარებისთვის.

საქართველოს ბევრი ჰყავს ნამდვილი ღვთისმოსავი, ხალხის მოყვარე მამა. მათგან მიტროპოლიტი შიო გამორჩეულია. ამიტომ მივესალმები მის არჩევას საქართველოს პატრიარქის მოსაყდრედ და დარწმუნებული ვარ, ის მაღალი პასუხისგებით შეასრულებს უფლისა და ერის წინაშე დაკისრებულ მოვალეობას.

გორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.
სენაკი

ეპისკოპოსების ვიზიტი აშშ-ში გრძელდება

სასულიერო **პირების დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში გრძელდება. 26 ნოემბერს დელეგაციის წევრები ფილადელფიას, წმინდა გიორგის სახელობის სამრევლოს ეწვივნენ და ქართველ ემიგრანტებს შეხვდნენ. სტუმრებს ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ეპარქიის მმართველმა მღვდელთმთავარმა, მეუფე საბამ უმასპინძლა. მოგვიანებით გაიმართა გიორგობისადმი მიძღვნილი კონცერტი, პენსილვანიის შტატში მცხოვრები ქართველების მონაწილეობით.**

აშშ-ში ვიზიტი განვითარების და დემოკრატიის ცენტრის (CDD-ს) ინიციატივითა და ორგანიზებით 24 ნოემბერს დაიწყო და 29 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

პროექტს CDD-ი საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. შემსწავლელი ვიზიტისა და საერთაშორისო ინტერ-რელიგიური კონფერენციის მხარდამჭერები არიან: NED-ი (ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის), აშშ-ში საქართველოს საელჩოს, საქართველოში აშშ-ის საელჩო, ევროპულ და ევროალტანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი.

„საქართველოს რკინიგზის“ სამგზავრო ბილეთების შეძენა უკვე მობილური აპლიკაციის მეშვეობით არის შესაძლებელი

„საქართველოს რკინიგზამ“ სამგზავრო ბილეთების რეალიზაცია მობილიური აპკლიკაციით დაიწყო. აპლიკაცია მორგებულია – „IOS“, „ANDROID“ და „WINDOWS“ პლატფორმებზე. სამგზავრო ბილეთების ყიდვა მობილური აპლიკაციის დახმარებით საკმაოდ მარტივი პროცესია: ამისათვის აპლიკაციის პირველ გვერდზე ირჩევთ სასურველ მიმართულებას, გამგზავრებისა და დაბრუნების თარიღებს. მეორე გვერდზე პროგრამა გვაწვდის ინფორმაციას შერჩეულ მიმართულებაზე მოძრავი მატარებლებისა და თავისუფალი ადგილების შესახებ, ვაგონების, კლასებისა და სართულების მიხედვით. მატარებლის სქემაზე ვახდენთ სასურველი ადგილის მონიშვნას (ამ ეტაპზე აპლიკაცია იძლევა მხოლოდ „შტადლერის“ ტიპის მატარებლებზე არჩევანის შესაძლებლობას). შემდეგ გვერდზე შეგვყავს მგზავრის პირადი მონაცემები და ვახდენთ ბილეთის შეძენას. მობილურ აპლიკაციაზე მოგვდის დასტური და ელექტრონული ბილეთის მონაცემები, როგორც შესყიდვის კოდის, ასევე QR კოდის სახით. შეძენილი ბილეთების შესახებ ინფორმაცია ინახება პროგრამაში და მატარებელში ჩასხდომისას გამცილებლებს წარვუდგენთ მხოლოდ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას და QR კოდს თქვენი მობილურიდან. ასევე, აპლიკაცია მისი მეშვეობით ნაყიდი ბილეთების უკან დაბრუნების შესაძლებლობასაც იძლევა. აპლიკაციები უფასოა და მათი ჩამოტვირთვა შესაძლებელია შესაბამისი პლატფორმების „აპლიკაციის მარკეტებიდან“. ვფიქრობთ, რომ ეს სიახლე ბილეთების შეძენის პროცესს კიდევ უფრო გაუადვილებს და კომფორტულს გახდის ჩვენი მომხმარებლებისათვის.

„საქართველოს რკინიგზა“ გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას!

ყოჩაღი ქალბატონები

ქალები მამაკაცებზე გაცილებით გამძლენი არიან. იმის მიუხედავად, რომ მამაკაცები უფრო ღონიერები არიან, ქალბატონების კუნთები უფრო გამძლეა. ამიტომაცაა, რომ მანდილოსნები ნაკლებად იღლებიან და უფრო სწრაფად აღიდგენენ ძალებს ხანგრძლივი მონოტონური ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, ვიდრე ამავე ასაკისა და ფიზიკური მომზადების მქონე მამაკაცები. ამ გარემოების წყალობით ზოგიერთ წარმოებაში ქალები მამაკაცებზე გაცილებით უკეთ მუშაობენ.

რომც არ გემღერებოდეთ...

სიმღერა ამაგრებს პარკინსონის სნეულებით დაავადებულთა იმ კუნთებს, რომლებიც სუნთქვასა და ყლაპვაზე არიან პასუხისმგებელნი, – აცხადებენ აშშ აიოვის უნივერსიტეტის მეცნიერები.

ეს ფუნქციები ამ ავადმყოფობის დროს ილახება, ამიტომაც მედიკოსები თავიანთ პაციენტებს სიმღერის ერთკვირიან ციკლებს უტარებენ. ყველა მეცადინეობაზე ავადმყოფები ვოკალურ ვარჯიშებს ასრულებენ, სწავლობენ სუნთქვის კონტროლს, აკვირდებიან აღნაგობას. გარდა იმისა, რომ ასეთი ვარჯიში კუნთებს ამაგრებს, სტრესიდან და დეპრესიისგანაც იცავს მათ.

ნუ სდუმხარ!

საიდუმლოს შენახვა ჯანმრთელობისთვის სახიფათო ყოფილა – ყოველ შემთხვევაში ამაში გვარწმუნებენ კოლუმბიის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერები.

გამოკვლევის შედეგად მკვლევარებმა გამოიტანეს დასკვნა: ადამიანთა 95 პროცენტი, საშუალოდ, 13 საიდუმლოს ინახავს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია სექსუალური ფანტაზიები (ოღონდ არა პარტნიორზე) და **სექსუალური ღალატი**. არიან ადამიანები, რომლებიც მალავენ თავიანთ **სექსუალურ ორიენტაციას, ფინანსურ მდგომარეობას, აბორტებს, რაღაცის მიმართ დამოკიდებულებასა** და ა.შ.

მეცნიერთა მტკიცებით, ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება არა თავად საიდუმლოებები, არამედ მათზე ხშირი ფიქრი, რომელთა გამო შესაძლოა მოიმატოს სტრესის ჰორმონის დონემ, რასაც არტერიულ წნევასთან, კუჭ-ნაწლავთან, კანის დაბერებასთან და ა.შ. დაკავშირებული პრობლემები მოჰყვება.

გუდაური-კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თოვის, ქარბუქის და შეზღუდული ხილვადობის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის-(რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ამავე გზის კმ134-კმ135 (დარიალის ხეობა) მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მიმოსვლისას იკრძალება მათი გაჩერება.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

დაგვიანება

ძველი ბერბიჭა დაქორწინდა და მეგობარს შესჩივის:

— სანამ უცოლო ვიყავი, არასოდეს არ მიფიქრია ფულის დაზოგვა.

— ახლა?

— ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რამდენს მოვაგროვებდი, ისევ უცოლო თუ ვიქნებოდი.

უებარი საშუალება

პაციენტი შესჩივის ქირურგს, ფეხის ტკივილი მაგიჟებსო.

— გიღრძვიათ, ბატონო, დიდი ხანია?

— ორი კვირაა.

— ორი კვირა! პირდაპირ მაკვირვებს თქვენი გამძლეობა! უფრო ადრე რატომ არ მოხვედით ჩემთან?

— იცით რა, როგორც კი რამე ამტკივდება, ცოლი მეუბნება, პაპიროსის მოწევას თავი დაანებეო.

კეთილი რჩევა

ექიმი ამშვიდებს პაციენტს:

— დამიჯერეთ, არც რა გემუქრებათ. თქვენთვის აუცილებელია სუფთა ჰაერი. გირჩევთ, რომ ბევრი იაროთ ფეხით. რა პროფესიის ბრძანდებით?

— ფოსტალიონი ვარ.

საჩივრის წიგნი

რესტორანში მომხმარებელი ოფიციანტს ეძახის და საჩივრის წიგნს სთხოვს. აღელვებული დირექტორი ოფიციანტს ეკითხება:

— რა ჩაწერა?

— არაფერი.

— აბა, საჩივრის წიგნი რაღასთვის უნდოდა?

— შნიცელი მიაწება ზედ.



პარიკმახერთან

მუდმივი კლიენტი საპარიკმახეროში მოხერხებულად მოეწყო სავარძელში. პარიკმახერმა ქათქათა ზეწარი ააფარა და საქმეს შეუდგა.

— პანი ალიოზი რატომ არ ჩანს? — იკითხა კლიენტმა. — სხვა საპარიკმახეროში გადავიდა?

— თქვენ რა, არ გაგიგიათ? — უთხრა პარიკმახერმა. — მეტად ცუდი ამბავი მოხდა. ბოლო ხანს ის მუდმივად ჩიოდა მცირე შემოსავლის გამო. მოგეხსენება, ამჟამად კაცების უმრავლესობა შინ იპარსავს. ალიოზი მეტისმეტად ნერვიულობდა, როცა კლიენტი უარს ამბობდა შეთავაზებულ პროცედურაზე. ერთხელაც კლიენტს ჰკითხა, გაპარსვის შემდეგ მასაჟზე რას იტყვითო. კლიენტმა უარი სტკიცა. ალიოზი ისე გაცეცხლდა, რომ სამართებლით სახე დაუსერა.

— ახლა სად არის პანი ალიოზი?

— საცოდავი საგიჟეთშია. გაპარსვის შემდეგ მასაჟს ხომ არ ინებებდით?

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7062; ევრო - 3.2112;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6041;
100 რუბლი - 4.6278; თურქული ლირა - 0.6851;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5924;
1000 სომხური დრამი - 5.5832.

ამინდი 28 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-5,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+11
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge